პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1980 წელი
სამშაბათი
18 მარტი
№ 64 (17707)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ლენინური შაბათობა გვიხმობს

გორი. (საკ. კორ. გ. ვაშაკიძე). ანალიზური ხელსაწყოების საცდელი ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობა შრომის მაღალი ნაყოფიერებით აღნიშნოს.

ამ დღეს 250-ზე მეტი კაცი უშუალოდ მატერიალური წარმოების სფეროში იქნება დასაქმებული. ისინი გამოუშვებენ 12460 მანეთის პროდუქციას. 400 კაცი საწარმოს ტერიტორიის კეთილმოწყობაზე იმუშავებს. დასუფთავებენ სამუშაო უბნებს, წესრიგში მოიყვანენ ხელსაწყოს, ჩარხს, დანადგარს.

ხელსაწყოთმშენებელთა გადაწყვეტილებაა ხუთწლედის ფონდში 1000 მანეთზე მეტი გადარიცხონ.

ბორჯომი. რაიონის სამრეწველო კომბინატის კოლექტივმა გადაწყვიტა მიმდინარე წლის ოთხი თვის დავალება 19 აპრილისათვის — ლენინური შაბათობის დღისათვის შესასრულოს.

თავისუფალი შრომის ზეიმში მონაწილეობას მიიღებს კომბინატის 200 მუშა-მოსამსახურე. ამ დღეს 14 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქციას გამოუშვებენ. გამმუშავებული ხელფასიდან ხუთწლედის ფონდში 400 მანეთს გადარიცხავენ.

„წითელი შაბათობა“ კომბინატის ტერიტორიის გალამაზებისა და გამშვენიერების დღედაც გადაიქცევა. დაირგება მრავალი ... (საკ. კორ. ...).

ბოლნისი. (საკ. კორ. ...). კომუნისტური შაბათობის მაღალ დონეზე მოწყობის კარგი ტრადიცია აქვთ მახარაძის ჩაის სამრეწველო გაერთიანების (გენერალური დირექტორი — გ. ბაბილოძე) მუშაკებს.

გაერთიანების 1800 მუშა-მოსამსახურე ამ დღეს იმუშავებს ჩაის პროდუქციის დაფასოებაზე, შენობა-ნაგებობების, ტერიტორიის კეთილმოწყობაზე.

შაბათობის დღეს დაამზადებენ 15 ტონა პროდუქციას, ხუთწლედის ფონდში გადარიცხავენ 5.300 მანეთს.

მასწავლებლის ავტორიტეტი

ნათლების სისტემის მუშაკს „სასკოლო ცხოვრებაში სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისა და ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრისათვის უკომპრომისო ბრძოლის შემდგომი გაძლიერების შესახებ“, რომლის სრული ტექსტი გამოქვეყნებულია გაზეთ „სახალხო განათლების“ ა. წ. 14 მარტის ნომერში. ასეთი წერილის მიღება საჭირო შეიქნა იქის გამო, რომ სრულიად შეუწყნარებელი გახდა წარსულში დაშვებული შეცდომებისა და დანაშაულებრივი უპასუხისმგებლობის მანკიერ ტრადიციად ქცეული გამოვლინებებისადმი შემრიგებლური დამოკიდებულება.

უწინარეს ყოვლისა, ეს ვლინდება მოსწავლეთა ცოდნის შემოწმებისა და შეფასების არაობიექტურობით, ლიბერალიზმით, პროტექციონიზმითა და ზოგჯერ ანგარებითაც კი, აგრეთვე სოციალისტური დისციპლინისა და პედაგოგიური ეთიკის სხვა დარღვევებით. ასეთმა დარღვევებმა განსაკუთრებით მახინჯი ფორმები მიიღო უმაღლეს სასწავლებლებში შედავთიანი გზით შესვლის მიზნით საშუალო განათლების ატესტატში საბოლოო ნიშნების შეტანის დროს. როგორც ეს დასახელებულ წერილშია აღნიშნული, ამ დანაშაულებრივ მასწრაფებათა გამო ხშირ შემთხვევაში ნიშანი „3“ და „4“ საშუალო განათლების ატესტატში გადასწორებული აღმოჩნდა უფრო მაღალ ნიშნად, რათა ხელოვნურად ყოფილიყო გაზრდილი საშუალო არითმეტიკული საატესტაციო ნიშანი.

გასული წლის მონაცემების მიხედვით, ოქროს მედლის კანდიდატების წერითს ნამუშევრებზე შედგენილი რეცენზიები და დაწერილი ნიშნები ყოველთვის არ შეეხებამებოდა წარმოდგენილი ნამუშევრების ფაქტობრივ დონეს. ამის გამო 51 მედლის კანდიდატს უარი ეთქვათ დაჯილდოებაზე. საგულისხმოა, რომ კურსდამთავრებულთა ნაწილმა, მათ შორის რამდენიმე ოქროს მედალოსანმა, აგრეთვე მაღალქულიანი ატესტატის მფლობელებმაც უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღეს.

რესპუბლიკის მასწავლებელთა ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიური კოლექტივების ნაწილი ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეთა საფუძვლიან მომზადებას სასწავლო პროგრამების ფარგლებში, ხოლო მათ საატესტაციო ნიშნები ყოველთვის ობიექტურად ვერ ასახავს რეალური ცოდნის დონეს. ცალკეულ სკოლებში, უმცროსი კლასებით დაწყებული და გამოსაშვები გამოცდებით დამთავრებული, ირღვევა წესი. ზოგჯერ მასწავლებელი და სკოლის დირექტორი ცდილობენ აამონ მოსწავლეთა მშობლებს. ისინი არ ერიდებიან სხვადასხვა სახისა და ფორმის „პატივისცემას“, იდებენ საჩუქრებს, რისთვისაც წინასწარ გროვდება ფული. ამის ინიციატორებად შვილებისათვის მაღალი ნიშნების მოხოვნელი „აქტიური“ მშობლები გამოდიან, უხმად არღვევენ ობიექტურობის კრიტერიუმს მასწავლებელი-მშობლებიც, რომელთა შვილები ან ნათესავები მათსავე სკოლაში სწავლობენ. ასეთ ფაქტებს ბოლო უნდა მოეღოს.

დაუმსახურებლად მიღებულ მაღალ ნიშნებს ამოფარებულმა მოსწავლეებმა სუსტად იციან სასწავლო მასალა, არ ცნობენ სკოლის, მასწავლებლის ავტორიტეტს და რეპეტიტორებთან ემზადებიან უმაღლეს სასწავლებელში შესახვლელად მისაღები გამოცდებისათვის საჭირო სპეციალურ დისციპლინებში. რატომ ხდება, რომ ბევრ შემთხვევაში სკოლა ექცევა იმ მშობლების გვალენის ქვეშ, რომლებიც დაუმსახურებლად მოითხოვენ თავიანთი შვილებისათვის მაღალი ნიშნების დაწერას და აღწევენ კიდეც ამას ზოგიერთი სკოლის დირექტორისა და მასწავლებლის შემწეობით, პედაგოგიური კოლექტივის გვერდის ავლითა? მოსწავლეთა ცოდნის მცდარი შემოწმება-შეფასება ხელს უშლის მათს სწორ პროფესიულ ორიენტაციას, იმის ნაცვლად, რომ კურსი ავიღოთ საშუალო სკოლადამთავრებულთა ძირითადი ნაწილის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში დასაქმებაზე, სკოლა ხელოვნურად ზრდის უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის პროცენტდენტთა რიცხვს. ეს ხომ აკნინებს სკოლის მასწავლებლის ავტორიტეტს, მათს ღირსებას, იწვევს ფართო საზოგადოებრიობის, კერძოდ, თვით მოსწავლეთა დიდი ნაწილისა და მშობლების სამართლიან გულისწყრომას.

გულისწყრომას იწვევს სკოლის ზოგიერთი მუშაკის სხვა უღირსი საქციელიც. მცხეთის რაიონის სოფელ დიღმის საშუალო სკოლის ყოფილმა დირექტორმა გ. კობიაშვილმა ქრთამი აიღო და პასუხისგებაშია მიცემული. საბაჭოს თანამშრომლებმა ამხილეს ზოგიერთი ტურისტი მასწავლებლის მიერ გადამალული ნივთების ხაზღვარგარეთ გატანის მცდელობა. საჩხერის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტის გამგე კ. ხოჯაშვილი პასუხისგებაშია მიცემული დეფიციტური წამლების დატაცებაში ხელისშეწყობისათვის და ა. შ. სასკოლო ცხოვრებაში არსებული ზემოაღნიშნული და სხვა ხასიათის ნეგატიური მოვლენები გავლენას ახდენს იმაზეც, რომ მოსწავლეთა შორის ჯერ კიდევ დიდია სამართალდამრღვევთა რიცხვი.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ რესპუბლიკის ყველა მასწავლებლისა და სახალხო განათლების სისტემის მუშაკისადმი მიმართული ზემოაღნიშნული წერილი საფუძვლიანად უნდა იქნეს განხილული სასკოლო პედაგოგიურ კოლექტივებში. წერილის განხილვა არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ მისი შინაარსის გაცნობით. განხილვის პროცესში აუცილებელია ღრმად, საფუძვლიანად და უალრესად კონკრეტულად გავაანალიზოთ სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობა, მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასებაში დაშვებული დარღვევები, გამოვაშკარაოთ ცალკეულ მასწავლებლთა მიერ არამიებიექტურობის გამოვლინებები, დავსახოთ და განვახორციელოთ ქმედითი ღონისძიებები, რომლებიც გამორიცხავს მომავალში ყოველგვარი დარღვევის შესაძლებლობას. ამ საქმეში უადრესად აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ, უწინარეს ყოველისა, კომუნისტმა მასწავლებლებმა. სწორედ მათ უნდა გვიჩვენონ ამ საკითხებისადმი პრინციპული პარტიული დამოკიდებულების მაგალითი.

ამოცანა ის არის, რომ საბოლოოდ დავძლიოთ სასკოლო ცხოვრებაში ჯერ კიდევ შემორჩენილი ნეგატიური მოვლენები და ახალი წარმატებებით აღვნიშნოთ მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წელი.

დიდი შრომითი გამარჯვება

აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს

აზერბაიჯანის სსრ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მშრომელებს, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაკებს, ყველა მშრომელს

ბაქო. ქალაქის ხედი. საკდესის ფოტოქრონიკა.

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გულითადად მოგილოცავთ დიდ შრომითს გამარჯვებას — მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მეათე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებას.

აზერბაიჯანელმა მშრომელებმა სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისას უზრუნველყვეს ეკონომიკის განვითარების ყოველწლიური მაღალი და სტაბილური ტემპი. მნიშვნელოვნად გაიზარდა აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის წვლილი ქვეყნის ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის განვითარებაში, ამაღლდა რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე. საბჭოთა აზერბაიჯანი ღირსეულად ეგებება თავის 60 წლის იუბილეს.

გვახარებს თქვენი მიღწევები მრეწველობაში. აქ წარმოების მოცულობის მატებამ უკვე 39 პროცენტი შეადგინა, რაც გეგმით ხუთწლედის დამლევისათვის იყო გათვალისწინებული. უპირატესი ტემპით იზრდება სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება.

დაჩქარებით ვითარდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განმსაზღვრელი დარგები. წარმოების ტექნიკური სრულყოფის, მრეწველობისა და განსაკუთრებით მისი წამყვანი დარგების სიმძლავრეთა უკეთ გამოყენების შედეგად გაიზარდა ფონდუკუგები. 5-ჯერ და მეტად გადიდდა ხარისხისნშნიანი ნაწარმის რაოდენობა.

დიდ კმაყოფილებას იწვევს თქვენი წარმატებანი ჩვენი პარტიის აგრარული პოლიტიკის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციაში. აზერბაიჯანის სოფლის მშრომელებმა მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის განვითარებაში. გადამეტებულია 1980 წლისათვის დაგეგმილი მთლიანი პროდუქციის დონე, ვადამდე, ოთხ წელიწადში შესრულდა სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, ბოსტნეულის, ხილის მიყიდვის ხუთწლიანი გეგმები. რეალური პირობებია შექმნილი იმისათვის რომ ვადამდე დაამთავროთ ხუთწლედი სოფლის მეურნეობის ყველა სხვა პროდუქტის მიხედვით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ განვლილ წლებში მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მატება ძირითადად მიღწეულია ინტენსიური ფაქტორის — სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდის მეოხებით.

მაღალი შედეგები, აზერბაიჯანელმა მშრომელებმა რომ მიაღწიეს პარტიის მიერ დასახული ამოცანების — სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ტემპის დაჩქარების, მისი ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების ამოცანების გადაწყვეტაში, იმის შედეგია, რომ თავდადებით, შემოქმედებითად შრომობენ საწარმოებისა და ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივები, მიზანდასახულ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას ეწევიან პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ აზერბაიჯანელი მუშები, კოლმეურნეები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები, მეცნიერები და სპეციალისტები არ დასჯერდებიან მიღწეულს, დამკვრცელური კომუნისტური შრომით უზრუნველყოფენ 1980 წლის სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებას, ღირსეულად შეხვდებიან ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს და სკკპ მომავალ, XXVI ყრილობას.

ლ. ბრეჟნევი

საქართველოს მშრომელები მხურვალედ ულოცავენ მოძმე აზერბაიჯანის — სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის თანამგზობრის მშრომელებს მეათე ხუთწლედის ვადამდე შესრულებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს

აზერბაიჯანის მშრომელებმა, რომლებიც ხორცს ასხამენ პარტიის XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებებსა და გამოსვლებში ჩამოყალიბებულ დებულებებსა და დასკვნებს და ფართოდ არიან ჩაბმულნი ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის, აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და აზერბაიჯანის კომპარტიის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის ვაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში, წარმატებით ასრულებენ რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეათე ხუთწლედის სახელმწიფო გეგმას.

ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპის ხუთი წლის დავალება ოთხ წელიწადში შესრულდა. ეროვნული შემოსავლის მატებამ 1976-1979 წლებში 32,5 პროცენტი შეადგინა და ხუთწლედის დამლევამდე 42 პროცენტს მიაღწევს.

კარგი შედეგები მოიპოვეს მრეწველობის მშრომელებმაც. სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობის სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმა ვადამდე შესრულდა. ხუთწლედის დამდეგიდან გეგმის გადამეტებით გამოვიმუშავეთ 1,5 მილიარდი მანეთის მრეწველობის პროდუქციას, და მატების ტემპი ხუთწლიანი გეგმთან დასახული 39 პროცენტის ნაცვლად 47 პროცენტს შეადგენს.

განსაკრძალად მაღლდება სამრეწველო წარმოების ეფექტიანობა. შრომის ნაყოფიერება ხუთწლეულში 28 პროცენტით და მეტად გაიზრდება და ხუთწლიანი გეგმის დავალებას გადააჭარბებს. ამ ფაქტორის ხარჯზე მივიღებთ პროდუქციის მატების ორ მესამედზე მეტს.

რესპუბლიკაში შეუპოვარი, გამიზნული მუშაობა წარმოებს პროდუქციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობაში ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წონა 15,3 პროცენტამდე გადიდდა, 1975 წლის 1,3 პროცენტის ნაცვლად. ხარისხისნიშნშნიანი ნაწარმის რაოდენობა ერთიანეულად და მეტად გაიზარდა.

ფონდუკუგება მრეწველობაში ხუთწლედის დამდეგიდან თითქმის ექვსი პროცენტით გადიდდა, ხოლო ხუთწლედის შედეგების მიხედვით 7 პროცენტით და მეტად გაიზარდება.

ხუთწლედის ოთხ წელიწადში მეცხრე ხუთწლედის შესაბამის პერიოდთან შედარებით ყველა დონის მეურნეობის გაუმჯობესების, მატერიალური და შრომითი რესურსების მომჭირნედ გამოყენების შედეგად მთლიანად მრეწველობაში მოგება 1,7-ჯერ გაიზარდა.

1976-1979 წლებში სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპის ხუთწლიანი დავალებანი შეასრულა რესპუბლიკის 34-დან 20 სამინისტრომ და უწყებამ, გაერთიანებებისა და საწარმოების 54 პროცენტზე მეტმა, ნახევრისა ასს რესპუბლიკის და მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის მრეწველობამ.

მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქციის მიხედვით მიღწეული და გადამეტებულია 1980 წლისათვის გათვალისწინებული წარმოების დონე.

უპირატესი ტემპით ვითარდება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება. ხუთწლედის ოთხ წელიწადში გეგმის გადამეტებით გამომუშავებულია 500 მილიონი მანეთის ეს პროდუქცია. ხუთწლეულში სამომხმარებლო საქონლის გამოშვება დავალებით გათვალისწინებული 58,4 პროცენტის ნაცვლად 64,2 პროცენტით გაიზარდა.

ახორციელებენ რა პარტიის აგრარულ პოლიტიკას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, სოფლის მშრომელებმა მეათე ხუთწლედის წლების მანძილზე მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის განვითარებაში. ვადამდე გადავამეტეთ სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის 1980 წლისათვის დაგეგმილ დონეს. მეათე ხუთწლედის ოთხ წელიწადში 1971-1975 წლებთან შედარებით სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო-წლიური მოცულობის ზრდამ 40 პროცენტი შეადგინა, მთელი ხუთწლედისათვის კი გეგმით 21 პროცენტი იყო გათვალისწინებული. ოთხ წელიწადში შესრულდა სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, ბოსტნეულისა და ხილის მიყიდვის ხუთწლიანი გეგმები. რძის დამზადების ხუთწლიანი გეგმა ამა წლის აპრილში შესრულდება. ვადამდე იქნება რეალიზებული აგრეთვე მეცხოველეობის ყველა სხვა პროდუქტის შესყიდვის გეგმები, განუხრელად იზრდება პირუტყვისა და ფრინველის სულადობა.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ზრდის გადიდება განვლილი წლების მანძილზე მიღწეულია ძირითადად ინტენსიური ფაქტორის — სოფლის

(დასასრული მე-3 გვ.).



ღირსეული წვლილი, თვალსაჩინო წარმატებები

საბჭოთა აჭარა 59 წლისაა

აჭარის მშრომელთა ნამდვილი ისტორია, თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრება აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების დღიდან იწყება. ორმოცდაცხრამეტი წლის წინათ, 1921 წლის 18 მარტს საღამოს, აჭარისწყლის მხრიდან ბათუმში შემოვიდა წითელი არმიის 218-ე ცხენოსანთა დივიზია, რომელმაც საბოლოოდ გაწმინდა ბათუმი უცხოელი ოკუპანტებისაგან და მთელი ძალაუფლება საოლქო რევოლუციურ კომიტეტს გადასცა.

დღევანდელი აჭარა — ეს არის ეკონომიკურად განვითარებული ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. დღეს მისი ინდუსტრიული წარმოება 126-ჯერ აღემატება 1921 წლის დონეს. იგი ქვეყანას აძლევს ნავთობპროდუქტებს, ელექტროენერგიულ საწარმს, ყვავის მრეწველობის 70-ზე მეტი სახის მანქანებსა და ტექნოლოგიურ მოწყობილობას, 36-ნაირ ციტრუსისა და ხილის კონსერვს, ფეხსაცმელს, შეკერილ ნაწარმსა და სახალხო მოხმარების სხვა საგნებს. ჩვენი პროდუქცია საგრძნობლად გაფართოვდა. ჩვენი ეკონომიკის ამ საარსებო მნიშვნელობის დარგში მათ ერთი წლითან ადრე უპატაკეს სამშობლოს ხუთწლიანი დავალებების შესრულება. სახელმწიფოს მიეყიდა 61,3 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი და 185 ათასი ტონა ციტრუსი, რითაც ფაქტობრივად ორი წლის გეგმა შესრულდა. გეგმის გადამეტებით დამზადდა 5.834 ტონა ჩაის ფოთოლი და 93 ათასი ტონა ციტრუსი. წარმატებით განხორციელდა ხორცის, რძის, კვერცხის, ბოსტნეულის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების დავალებები.

მომდინარე ხუთწლედში დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა კაპიტალური მშენებლობის, მოსახლეობის სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. წინა ხუთწლედის შესაბამის პერიოდთან შედარებით კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა გაიზარდა 24 მილიონი მანეთით, საექსპლოატაციოდ გადაეცა 41,3 ათასი კვადრატული მეტრით მეტი საცხოვრებელი ფართობი, ვიდრე გეგმით იყო ნავარაუდევი.

საყოველთაოდ არის ცნობილი საბჭოთა აჭარის წარმატებანი სახალხო განათლების, მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგში. თუ რევოლუციამდე აჭარაში თითო-ორ-ოლა მწერალი იყო, ახლა აქ არის საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის აჭარის ორგანიზაცია, რომელიც 25 კაცს აერთიანებს. მხატვართა კავშირის აჭარის განყოფილებაში ნაყოფიერ შემოქმედებითს მუშაობას იწევა 60-მდე მხატვარი.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ აჭარის ქალაქებსა და სოფლებში უამრავი სკოლა და ბაგა-ბაღი აშენდა. ისტორიულად უმოკლეს პერიოდში ლიკვიდირებულია უწიგნურობა. 408 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, რვა საშუალო სპეციალურ, ხუთ პროფესიულ-ტექნიკურ და ორ უმაღლეს სასწავლებელში 85 ათასზე მეტი ახალგაზრდა სწავლობს. ბევრი აჭარელი ახალგაზრდა ცოდნას ეუფლება მოსკოვის, ლენინგრადის, თბილისისა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში. აჭარის სამეცნიერო დაწესებულებებში ნაყოფიერად მუშაობს 350-ზე მეტი მეცნიერი მუშაკი, მათ შორის არიან მეცნიერებათა დოქტორები და კანდიდატები.

შავი ზღვის სანაპიროზე აშენდა კეთილმოწყობილი სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, პანსიონატები და ტურისტული ბაზები. ქობულეთში შენდება დასასვენებელი სახლების მთელი კომპლექსი.

სამგზის ორდენოსანმა აჭარამ შარშანდელი შედეგების მიხედვით მეექვსედ გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გადამავალი წითელი დროშით.

მთავრობის მაღალი ჯილდოთი აღფრთოვანებული საბჭოთა აჭარის კომუნისტები, კომკავშირელები, ყველა მშრომელი უდიდესი ენთუზიაზმით ჩაებნენ მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წლისათვის ნაკისრი ვალდებულებათა ვადამდე შესასრულებლად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, მაღალი მაჩვენებლებით ხვდებიან კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელის, დიდი ბელადის ილიჩის ძე ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს.

ვ. კაკუნიძე,
საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

როგორ, რით შევხვდეთ პარტიის XXVI ყრილობას?

ინიციატივა — ჭლუს მონდომება, — ორგანიზაცია

ყოველდღიურად ფოთის ნავსადგურში შემოდის ათობით საბჭოთა თუ უცხოური გემი. მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხიდან შემოაქვთ და აქედანაც გაქვთ სხვადასხვა დანიშნულების სახალხო-სამეურნეო ტვირთი. ნავსადგურის ხშირი სტუმრები არიან აგრეთვე საოკეანო თევზჭერის ტრალერები, სეინერები, სამგზავრო ხომალდები. და ყველფერი ეს ჰარმონიულად ერწყმის და ალამაზებს ყოველდღიურობას ფოთისას, რომელიც ამ ბოლო წლებში განსაკუთრებით დამშვენდა, გალამაზდა და გაფართოვდა....

ქალაქის ცხოვრებაში მომხდარი სასიკეთო ცვლილებები აქაურ მშრომელთა თავდადებული გარჯის შედეგია, რომლებიც კომუნისტების წინამძღოლობით მონდომებით იღწიან მეათე ხუთწლედის დავალებების ვადამდე და ადაჭარბებით შესრულებისათვის.

ფოთელ კომუნისტებს მუდამ ახასიათებდათ სწრაფვა ყოველივე ახლისაკენ, პროგრესულისაკენ. მათ გამოუჩენიათ და დაუნერგავთ მრავალი სასიკეთო ინიციატივა, რომლებსაც მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტი მიუცია წარმოებისათვის. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

როცა კოლხეთის მრავალსაუკუნოვანი ჭაობის დაშრობა პრიმიტიულად, მძლავრი ტექნიკის გამოუყენებლად მიმდინარეობდა, ქალაქ ფოთის კომუნისტებმა გამოიჩინეს ინიციატივა შექმნათ მიწასაწოვი მანქანები. მალე მათივე პროექტითა და მონაწილეობით შეიქმნა კიდევ ასეთი მანქანები, რომლებსაც წარმატებით იყენებენ. ახლა ამ მანქანებს ამზადებს მსოფლიოში ერთადერთი ფოთის ჰიდრომექანიზმების მანქანათმაშენებელი ქარხანა, რომლის პროდუქციაზე მარტო ჩვენთან კი არა, საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებშიც დიდი მოთხოვნაა.

ფოთელი კომუნისტების ინიციატივითვე დაარსდა საოკეანო თევზჭერის სამმართველო, რომელმ ბაზაზე შემდეგ შეიქმნა გემთსარემონტო ქარხანა...

სკკპ XXII ყრილობისწინა წლებში ამ ქარხნის კომუნისტებმა ა. ბალნერმა, დ. ხარაზიშვილმა და ვ. ზოდელავამ წამოაყენეს წინადადება, რომ შექმნათ სამამულო მარკის ქართული სამგზავრო გემი. ამ წინადადებას ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ქარხნის მთელმა კოლექტივმა.

და თუმცა საწარმოს კოლექტივს მაშინ არ ჰქონდა ასეთი გემების მშენებლობის გამოცდილება, მაგრამ ერთსულოვნებამ და მონდომებამ თავისი გაიტანა. ქვეყნის გემთსაშენებელი ქარხნების სპეციალისტებისა და კონსტრუქტორების დახმარებით, ფოთელ გემთშემკეთებელთა თავდადებული შრომით ამ ჩანაფიქრს წარმატებით შეესხა ფრთები... 116- ადგილიან კომფორტულ საზღვაო და სამდინარო გემს „კომეტა“ წოდეს...

„კომეტა“ შავი და აზოვის ზღვების, მდინარე დონისა და ვოლგის გავლით სკკპ XXII ყრილობის დღეებში ჩავიდა მოსკოვში, სადაც დედაქალაქის მოსახლეობასთან ერთად იგი ყრილობის დელეგატებმა და სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულმა სტუმრებმა დაათვალიერეს. სამდინარო და საზღვაო გემების პარადზე, რომელიც ყრილობის დღეებში გაიმართა, „კომეტას“ სპეციალური ადგილი დაეთმო. იგი ერთ-ერთ ყველაზე მოხერხებულ სანაოსნო ლაინერად აღიარეს. ხოლო შემდეგ იზმირსა და ლონდონში გამართულ მსოფლიო გამოფენაზე მან მაღალი შეფასება და საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. იგი შეისყიდეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა, იტალიამ, საბერძნეთმა, პოლონეთმა, იუგოსლავიამ და სხვ...

კიდევ ბევრი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ, ფუნინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ის, რომ ფოთელთა შრომითი ენთუზიაზმი და შემართება განსაკუთრებით გაიზარდა წელს, მეათე ხუთწლედის დამამთავრებელ, პარტიის XXVI ყრილობისათვის მზადების წელს. ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში კი ქვლავ გემთსარემონტო ქარხნის კომუნისტები არიან.

გასული წლის მიწურულს ამ ქარხნის კომუნისტებმა, კერძოდ, ბრიგადირმა ა. ბალნერმა წამოაყენა წინადადება გამოეშვათ ხანალი, გაუმჯობესებული კონსტრუქციის სამგზავრო ლაინერი „კოლხიდა“ და იგი სკკპ XXVI ყრილობის გახსნისათვის მიეძღვნათ. ამ წინადადებას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ქარხნის ხელმძღვანელობამ, ყველა მშრომელმა.

ნათქვამია, დიდ ქარავანს დიდი ჭიშკარი სჭირდებაო. თუმცა ქარხნის კოლექტივს ახლა უკვე საზღვაო ლაინერების მშენებლობის საქმეო გამოცდილებაც ჰქონდა და დიდი სურვილიც, მაგრამ მხოლოდ საკუთარი ძალებით ამ ამოცანას მაინც ვერ გადაწყვეტდა.

სწორედ ამიტომ ქარხნის ხარატმა, პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრმა ნ. ხუციერამ საქალაქო კომიტეტს მოახსენა ქარხნის კომუნისტების ინიციატივაზე, იმაზე, რომ მათ გადაწყვეტილი აქვთ ააგონ ახალი ტიპის სამგზავრო ლაინერი „კოლხიდა“ და სკკპ XXVI ყრილობის გახსნის დღისათვის ფოთიდან მოსკოვში ჩაიყვანონ იგი. ამ მიზნის ხორცშესხმისათვის ნ. ხუციერამ სთხოვა საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელებს მხარი დაეჭირათ ქარხნის კომუნისტთა ამ პატრიოტული ინიციატივისათვის და დახმარება აღმოეჩინათ მათთვის. ამ წინადადებას მაშინვე დაუჭირეს მხარი.

ასე იშვა ფოთელ კომუნისტთა კიდევ ერთი კარგი ინიციატივა სკკპ XXVI ყრილობისათვის „კოლხიდის“ ტიპის ლაინერების ახალი სერიის შექმნის თაობაზე.

ქარხნის კომუნისტებმა, უწინარეს ყოვლისა, „კოლხიდის“ ესკიზები დაამუშავეს. იგი იქნება 120-ადგილიანი, „კომეტაზე“ უფრო კომფორტული და მოხერხებული, გაცილებით გრძელი, განიერი და მძლავრი ლაინერი. საწვავის მარაგის აუღებლად მას შეუძლია 600 კილომეტრის გაფრენა. ახლა ქარხნის მრავალათასიანი კოლექტივი მონდომებით შრომობს, რათა დროულად და ხარისხიანად შეასრულოს „კოლხიდის“ მშენებლობის დაწყებისათვის საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები.

დიახ, ფოთის გემთსარემონტო ქარხნის კომუნისტები, მშრომელები ყოველ ღონეს ხმარობენ პარტიის მომავალი, XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის. მათ არც ქალაქის სხვა საწარმო-დაწესებულებათა შრომითი კოლექტივები ჩამორჩებიან. ამაში თვალნათლივ დავრწმუნდით, როცა ქალაქის რამდენიმე სამრეწველო საწარმოს სამეობანოს გავეცანით და დავინტერესდით, თუ როგორ ემზადებიან ისინი ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისა და სკკპ XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის...

ჰიდრომექანიზმების ქარხნის მშრომელებს, მაგალითად, გადაწყვეტილი აქვთ წლიურს გამოუშვან 50 ათასი მანეთის ზეგეგმითი სამრეწველო ნაწარმი და სახელმწიფო ხარისხის ნიშნით დაამზადონ მთლიანი პროდუქციის 58,1 პროცენტი. გარდა ამისა, ქარხნის მოწინავე მშრომელებმა, კომუნისტებმა გადიდებული სოციალისტური ვალდებულებები იკისრეს და გადაწყვიტეს ახალი შრომითი წარმატებებით აღნიშნონ ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავი. 8 ბრიგადამ და 19 წარმოების მოწინავემ მეათე ხუთწლედის დავალებების 22 აპრილისათვის შესრულება იკისრეს, ხოლო კომუნისტური შრომის იმ ბრიგადებმა, რომლებსაც ო. ჭყონია, ვ. ჩარტია და ბ. ნასარია ხელმძღვანელობენ, გადაწყვიტეს მეთრამეტე ხუთწლედის პირველი წლის გეგმა-ვალდებულებები სკკპ XXVI ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულონ.

— ასეა ყველგან, ქალაქის ყველა სამშენებლო, სატრანსპორტო თუ სამრეწველო საწარმოში, გვითხრა პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. გულუამ. ფოთელი მშრომელები მონდომებით, დიდი ენთუზიაზმით ირჯებიან იმისათვის, რომ მაღალი შრომითი წარმატებებით დაამთავრონ მიმდინარე ხუთწლედი და ამთავითვე საიმედო საფუძველი შექმნან მეთრამეტე ხუთწლედის ასევე წარმატებით დაწყებისათვის...

პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ეს სიტყვები ეჭვქვეშ კი არ დაგვიყენებია, მაგრამ როდესაც წისქვილქარხნის, ნავსადგურის, „ფოთიელექტროაპარატისა“ და ელექტროგამაძლიერებელი ქარხნების და სხვა საწარმოთა კოლექტივების მუშაობითაც დაინტერესდით, მათს წევრებს გავესაუბრეთ, კიდევ ერთხელ დაარწმუნდით ფოთელთა ერთსულოვან გადაწყვეტილებაში: ყოველი ღონე იხმარონ შარშან მრეწველობაში დასშვებული ჩამორჩენის უსწრაფესი დაძლევისათვის (ხუთწლედის გასვლილ, მეოთხე წელს ფოთის 16 სამრეწველო საწარმოდან მხოლოდ საოკეანო თევზჭერის სამმართველომ ვერ შეასრულა გეგმა-ვალდებულებები, რითაც ქალაქის მრეწველობამ გეგმის შესრულებას 4,2 პროცენტი დააკლო) და ახალი შრომითი წარმატებებით შეეგებონ პარტიის მომავალ, XXVI ყრილობას.

ნ. ბოგვია.

ეცნობიან საქართველოს

სოციალისტური ეთიოპიის მთავრობის დელეგაციის ჟვირები

სამი დღის მანძილზე ეცნობოდნენ საბჭოთა საქართველოს ცხოვრებას.

დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სოციალისტური ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს მუდმივი კომიტეტის წევრი, განვითარების და ცენტრალური დაგეგმვის საერთაეროვნული რეფორმიერი კამპანიის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ადის ტედლა, მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზ. ა. პატარიძემ.

ამხ. ზ. ა. პატარიძემ დელეგაციის წევრებს გააცნო მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში მოპოვებული წარმატებანი.

საქართველო ძველი კულტურის ქვეყანაა, — ხაზი გაუსვა ზ. ა. პატარიძემ, — მაგრამ მხოლოდ დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ჩადგა მისი კულტურული კეთილდღეობა ხალხის სამსახურში. რესპუბლიკაში ათობით უმაღლესი და საშუალო სპეციალური საწავლებელია, სადაც იზრდებიან უაღრესად ფართო პროფილის ახალგაზრდა სპეციალისტთა კადრები.

ადის ტედლამ მადლობა გადაიხადა გულთბილი მიღებისათვის და გამოთქვა რწმენა, რომ საქართველოში სტუმრობა დიდხანს ეხსომება დელეგაციის ყველა წევრს.

ახლანდელი ეთიოპია, — თქვა მან, — ჩამორჩენილი ქვეყანაა. ეს იმპერიალიზმის მრავალსაუკუნოვანი ბატონობის, ადგილობრივი მდიდრების მიერ ხალხის ჩაგვრის შედეგია. რევოლუციის შემდეგ დაწყებული გარდაქმნები ახარებს ჩვენს მეგობრებს, მაგრამ მოსაწონებს უკარგავს მტრებს, რომლებსაც სურთ უკუქცევა დაატრიალონ ისტორიის ჩარხი. ოთხი წლის სიძნელეზე ვიცავდით იარაღით რევოლუციის მონაპოვრებს.

ადის ტედლამ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის დიდი დახმარება იმის საიმედო გარანტიაა, რომ სოციალისტური ეთიოპიის ხალხი შეძლებს არა მარტო დაიცვას რევოლუციის მონაპოვრები, არამედ კვლავაც წინ იაროს უკონიმიკური და სოციალური პროგრესის, სოციალიზმის მშენებლობის გზით.

საუბარს დაესწრნენ სოციალისტური ეთიოპიის მთავრობის დელეგაციის წევრები ტეკოლა დეიენე, ტეკეზე-შოა აიტენფისუ, მოჰამედ შერიფი და სხვები.

საუბარში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის საბჭოთა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე პ. პ. ანისიმოვი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე დ. ლ. ქართველიშვილი და სხვა ოფიციალური პირნი.

საუბარმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

სოციალისტური ეთიოპიის მთავრობის დელეგაცია ეწვია საქართველოს სსრ სახელმწიფო სიგრძემო კომიტეტს, სადაც გაეცნო რესპუბლიკის ამ მთავარი საგეგმო ორგანოს მუშაობას.

სტუმრები იყვნენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, იმოგზაურეს მცხეთაში, ეწოსტუდია „ქართული ფილმში“ მათ ნახეს დოკუმენტური ფილმები საქართველოს ისტორიული ძეგლების, თბილისის შესახებ.

რესპუბლიკის მთავრობის სახელით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზ. ა. პატარიძემ სოციალისტური ეთიოპიის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად გამართა სადილი.

17 მარტს დელეგაცია თბილისიდან მოსკოვს გაემგზავრა.

თბილისის აეროპორტში სტუმრები გააცილეს ზ. ა. პატარიძემ, დ. ლ. ქართველიშვილმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საქინფორმი).

„ლენინიზმი ჩვენი ეპოქის რევოლუციური დროშაა“

საქართველოს დედაქალაქში გრძელდება რევოლუციის დიდი ბელადის დაბადების 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვა „ლენინის საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს“. ქალაქის იდეოლოგიური აქტივისათვის მორიგი კითხვა გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტგანათლების რესპუბლიკურ სახლში.

მოხსენება თემაზე „ლენინიზმი ჩვენი ეპოქის რევოლუციური დროშაა“ კაკუთა ჩკუა ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ს. ა. ანდრონოვმა.

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კითხვას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ვ. ი. ქარუმიძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანი ნ. ვ. გურგენიძე. (საქინფორმი).

საერთაშორისო ცხოვრება

ტელეჭიქის ჭურჭელი

მეკალთაშენებენ საკანონმდებლო და აღსაყრელი ორგანოების საკანონმდებლო კორესპონდენტები

ამხილებენ ბინძურ ნაყალბევს

ქაბული. ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკა და ავღანელი ხალხი გადაჭრით უარყოფენ დასავლეთის პროპაგანდის მონაჭორებს, რომელთა მიზანია ძირი გამოუთხაროს ავღანეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრულ და ძმურ ურთიერთობას. ამგვარი ჭორების ერთ-ერთი მაგალითია, ნათქვამია ბახთარის საინფორმაციო აქ გავრცელებულ კომენტარში, ამერიკელი სენატორის ბენტსენის მტკიცება, თითქოს საბჭოთა სამხედრო მოსამსახურეებს ავღანეთში არაერთხელ „მიუღიათ მონაწილეობა მოსახლეობის დახვრეტაში“. ეს გაბედულება, ბაზრასმული კომენტარში, მორიგი ბინძური ნაყალბევია, რომელიც საბჭოთა კავშირის პოლიტიკისათვის ჩირქის მოცხების მიზნით არის შეთხზული.

სავსებით ნათელია, აღნიშნულია კომენტარში, რომ ავღანელი ხალხის წარმატებანი იმპერიალისტური აგრესიის მოგერიებასა და ახალი ცხოვრების მშენებლობაში არ მოსწონთ ამერიკის იმპერიალისტებს, ნატოს, პეკინელ ჰეგემონისტებს, პაკისტანისა და სხვა ქვეყნების რეაქციულ წრეებს. მათ არ მოსწონთ ის ფაქტიც, რომ ავღანელი ხალხი თვითონ ირჩევს თავის მეგობრებს, და ამიტომ ისინი ცდილობენ მისი ინტერესების „დამცველებად“ მოგვაჩვენონ თავი.

არავისთვის საიდუმლო არ არის, ხაზგასმით აღნიშნავს საინფორმაციო ერთადერთი მიზანია დახმარება გაუწიოს ავღანელ ხალხს გარეშე აგრესიის მოგერიებაში, მისი დამოუკიდებლობის, ეროვნული სუვერენიტეტისა და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის დაცვაში.

ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის მეგობრობა დროით არის შემოწმებული. ორი ქვეყნის ხალხთა კეთილი გრძნობებით აღსავსე ძმური კავშირი ურღვევია.

ნიუ-იორკი, 17 მარტი. (საკუთარი). ომის კატასტროფისაგან ვიხსნათ მსოფლიო — ამ მთავარ ამოცანას, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშე იდგა მისი არსებობის თითქმის 35 წლის მანძილზე, კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ახლა, როცა მესამე მსოფლიო ომის დაწყების საფრთხე მოსპობას უქადის კაცობრიობას, განაცხადა აქ გამოსვლისას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კ. ვალდჰაიმმა. მაგრამ, საერთაშორისო ვითარების გამწვავების მიუხედავად, განაგრძო ორატორმა, უნდა გვახსოვდეს, რომ „მსოფლიოს გაკეთებთ უფრო მწვავე კრიზისებიც დაუძლევია“.

ამერიკა-ირანის ურთიერთობაში არსებული კრიზისის შესახებ კ. ვალდჰაიმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი მოწესერიგება შეიძლება მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით და არა ძალის გამოყენებით. შეეხო რა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტს, გენერალურმა მდივანმა თქვა, რომ ამ რეგიონში არსებული მწვავე მდგომარეობა საერთაშორისო დაძაბულობის წყაროა, სამართლიანი და ხანგრძლივი მშვიდობის მიღწევა ახლო აღმოსავლეთში შეიძლება მხოლოდ პალესტინის არაბი ხალხის კანონიერი უფლებათა უზრუნველყოფის პირობით. ორატორი შეეხო ნამიბიაში მშვიდობიანი მოწესრიგების შესაძლებლობას და მაგალითის სახით მოიყვანა ზიმბაბვეს ამასწინანდელი ამბები. ამ ქვეყნის ხალხმა, ბოლოს და ბოლოს, მიიღო შესაძლებლობა განეხორციელებინა საკუთარი ბედის განსაზღვრის თავისი კანონიერი უფლება: ზიმბაბვეს ამბები დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია სამხრეთ აფრიკის მშვიდობიანი და სტაბილური მომავლის გზაზე, აღნიშნა მან.

შეაფასა რა თანამედროვე მსოფლიოში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა, კ. ვალდჰაიმმა თქვა, რომ მისთვის დამახასიათებელია უსამართლობა და დისპროპორცია, პროტექციონიზმის ზრდა, შიმშილი და სიღატაკე განვითარებულ ქვეყნებში. ასეთი სტუაცია სერიოზულ საფრთხეს შექმნიდა მშვიდობასა და საერთაშორისო უშიშროებას.

ორატორმა მოაგონა დამსწრეთ, რომ ამჟამად პლანეტაზე ყოველწლიურად დახლოებით 450 მილიარდი დოლარი იხარჯება შეიარაღებისათვის, რაც უდიდეს საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და სტაბილურობას. გამალებული შეიარაღება ეწინააღმდეგება ხალხთა ნებასა და ინტერესებს. ამიტომ ახლა განსაკუთრებით საჭიროა ყოველნაირად ვეცადოთ როგორც ბირთვული, ისე ჩვეულებრივი შეიარაღების დონის შემცირებას. საერთაშორისო ვითარებაში მთავარი ამოცანაა, ხაზი გაუსვა დასასრულს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა, აღმოვფხვრა ომისმომტანი ფაქტორები, ამ მიზნით ეფექტიანად ვიმოქმედოთ ეროვნულ, ეკონომიკურ, სოციალურ, ეკოლოგიურ, ტექნიკურ, ინფორმაციულ, ადამიანურ და ინსტიტუციურ დონეებზე. ეს ამოცანა ადვილი არ არის, თუმცა ბოლო ხანს საგრძნობლად შეირყა მმართველი ფენა, ნასტიის პოზიციები საუფლის არბეთში, გაუთავებელი ინტრიგებმა, კონფლიქტები ღრღნის ეროვნულ მმართველ დინასტიასაც. ამ რამდენიმე ხნის წინათ „ლიბერიელების“ ლიდერმა პრინცმა საუელ დოემ 33-გვერდიანი მემორანდუმი შეადგინა, რომელშიც სამეფოს როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკის რადიკალური რეფორმები მოითხოვა. მეორე პრინცმა ბენინიკამ ლიბერიის ადმინისტრატორ მადჯიმმა მკაცრი წერილი გაუგზავნა მეფე ხელედს, შემდეგ გადადგა და პროტესტის ნიშნად ლონდონში გადასახლდა. ამ ორ პრინცის აზრით ერ-რიადი ადამიანი „ბევრ და სულელურ პოლიტიკას“, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს მონარქიის დამხობა ამერიკის შეერთებული შტატების აქტიური მხარდაჭერით“. ირანის რევოლუციურ გავლენით სპარსეთის ყურის რაიონში სულ უფრო ძლიერდება შიიტური მოსახლეობის გამოსვლები. ყოველივე ეს კი მეფე ხელედს და უახლოეს მრჩეველებს აიძულებს თავი აარიდონ ვაშინგტონის მოკავშირის როლის ატარებას. ნავთობის პრობლემა მუდამ იყო დიდ პოლიტიკასთან დაკავშირებული. ამ მხრივ უკანასკნელ წლებში თუ რამე შეიცვალა, მხოლოდ ის, რომ ეს ცვლილება კიდევ უფრო განმტკიცდა.

ს. ცინცაძე

ჩვენი პოლიტიკური მიმოხილველი.

ვიხსნათ მსოფლიო ომის კატასტროფისაგან

ეროვნული ინფორმაციის

ომის დაწყებამ ალბანეთი ბალკანეთის ერთადერთ ქვეყნად აქცია, სადაც ფაშისტურ ოკუპაციას ადგილი არ ჰქონია. ალბანეთი ომის ბოლოს ეროვნული განთავისუფლებისა და ანტიფაშისტური ბრძოლის ერთ-ერთ ცენტრად იქცა. ალბანეთის ეროვნული განთავისუფლებისა და ანტიფაშისტური ბრძოლის ეროვნული ფრონტის ბაზაზე 1944 წლის ნოემბერში ტირანაში ჩამოყალიბდა ალბანეთის ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტი, ალბანეთის ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის ბიურო, ალბანეთის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭო, ალბანეთის ეროვნული ფრონტის ეროვნული ბანკი

დიდი შრომითი გამარჯვება

(დასასრული)

მეურნეობის კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების მოხებით. 1979 წელს მარცვლეული კულტურებისა და ბამბის მოსავლიანობა 1975 წელთან შედარებით გადიდდა 1,5-ჯერ, ბოსტნეულის, ხილის, კარტოფილის და თამბაქოსი — 1,3-ჯერ.

რესპუბლიკაში კაპიტალური მშენებლობის დიდი პროგრამა ხორციელდება. ოთხი წლის მანძილზე ძირითადი ფონდების ამოქმედებამ თითქმის 1,5-ჯერ გადაჭარბა მეცხრე ხუთწლედის შესაბამისი პერიოდის დონეს. მოქმედთა მწყობრში ჩადგა 48 ახალი დიდი საწარმო, 29 საამქრო და წარმოება, 30-ზე მეტი სახელმწიფო და სამეურნეოებთაშორისო მეცხოველეობის კომპლექსი და მეფრინველეობის ფაბრიკა, საქესლოფატაციოდ გადაეცა ტერტერჩაისა და ხანდულანჩაის წყალსაცავები, 37,9 ათასი ჰექტარი ახალი სარწყავი მიწა. აშენდა ბევრი ბინა, სკოლა, საავადმყოფო, სავაჭრო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტი.

რესპუბლიკაში ფართოდ განვითარდა სოციალისტური შეჯიბრება, ხუთწლიანი დავალებანი შესრულეს 5 ათასმა საამქრომ, უბანმა, (ვალამ, ბრიგადამ, 48 ათასზე მეტმა წარმოების მოწინავემ. ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის 250 საამქროს, (ველის, ხუნის, ბრიგადის კოლექტივები, 5,5 ათასი მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და მწენებლობის დამკვრელი ორ ხუთწლედს დაამთავრებენ.

თანამმდევრულად ხორციელდება რესპუბლიკის სოციალური განვითარების ხუთწლიანი გეგმის დავალებანი, განსაზღვრული უმჯობესდება მშრომელთა კეთილდღეობა. კიდევ უფრო აყვავდა მეცნიერება და კულტურა.

ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს მოგახსენოთ, რომ წარმატებით ვასრულებთ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ 1970 წელს აზერბაიჯანში ყოფნისას რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის წინაშე დასახულ ამოცანას — დავძლევთ ეკონომიკის ჩამორჩენას, აღმოვფხვრით ნაკლოვანებებს, უზრუნველყოფთ სახალხო მეურნეობის განვითარების დაჩქარებულ ტემპს.

განვლილი ათი წლის მანძილზე ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაიზარდა 1,7-ჯერ, სამრეწველო წარმოება გადიდდა 2,2-ჯერ, სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია — 2,1-ჯერ. დინამიკური ხასიათი მიეცა რესპუბლიკის სოციალურ განვითარებას.

აზერბაიჯანის კომუნისტებს, ყველა მშრომელს კარგად ესმის, რომ რესპუბლიკის წარმატების თავიდათავია კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობა, ლენინური ეროვნული პოლიტიკის თანამმდევრული განხორციელება, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, საბჭოთა მთავრობის, პირადად ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მამაშვილური მზრუნველობა და უურადღება, და უსაზღვრო მადლობას მოახსენებენ მას ამ მზრუნველობის, მუდმივი დახმარებისა და მხარდაჭერისათვის.

აზერბაიჯანის კომუნისტებმა სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს აღუთქვამენ, რომ ახალი შრომითი მიღწევებით აღნიშნავენ მეათე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს, სკკპ XXVI ყრილობას.

აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ალიევი

აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ხალილოვი

აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. იბრაგიმოვი

აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების მე-60 წლისთავის დღესასწაულის წინ მკითხველს ვთავაზობთ ნაწყვეტს აზერბაიჯანის სახალხო მწერლის მირზა იბრაგიმოვის ნარკვევების კრებულიდან „ჩემი ცხოვრების წიგნი", რომელიც დაწერილია ხალხთა ლენინური მეგობრობის თემებზე.

შეხვედრა პუშკინოში

ტელეფონის ყურმილში უმალ ვიცანი მოლდაველი პოეტისა და მწერლის პავლე ბოცუს ხმა.

— სად დაიკარგეთ, ძმაო, მთელი მოლდავეთი მოვიარეთ, დავეძებდ ფეხები... — მომაყარა სხვასასხვებით.

— ეტყობა, ცუდად გიელიათ! — ხუმრობითვე ეუპასუხე მე.

— ჩვენს ფერულებს, — უკვე საქმიანად მეუბნება პავლე პეტროვიჩი, — თქვენთან შეხვედრა სურთ. როდის მოიცლით? გავიდეთ ქალაქგარეთ, ბუნების წიაღში დავისვენოთ...

მოვილაპარაკეთ, როდის შეხვედროდით და, დათქმული დღე რომ დადგა, მოლდაველ მწერალთა ჯგუფთან ერთად ნისპორიანსკის რაიონის სოფელ პუშკინოსაკენ გავემართეთ. კიშინიოვიდან რამდენიმე კილომეტრის შემდეგ გზა ტყეში შედის, აღმა-დაღმა, თვალწარმტაც ხეობებში და ველებზე მიიკლაკნება, მწვანე ტევრიდან ალანდება შორეული სოფლები ქათქათა აივნიანი და ფანჯრებიანი სახლებით.

— ესე იგი, მივდიეართ, რომ პუშკინს თაყვანი ვცეთ! — ამბობს ბოცუ და დიდი რუსი პოეტის მოლდაველთში ჩამოსვლაზე, მოლდაველ ინტელიგენციასთან ურთიერთობაზე მოგვითხრობს. — სწორედ აქ შეხვდა იგი თავის ზემფირას, აქ შექმნა ბევრი პოეტური სახე.

საუბარში იონ ჩობანუ ჩაერთო, მწერალი, რომლის შემოქმედება ყოველთვის იწვევდა ჩემს აღფრთოვანებას.

— ჩვენი მოწინავე ინტელიგენცია გულითადად შეხვდა პოეტს და ყველაფერი გააკეთა, რათა პეტერბურგის სულსშემხუთავი პოლიტიკური კლიმატის შემდეგ, პუშკინს აქ თავი თავისუფლად ეგრძნო. მას მოლდაველთის ერთერთ ულამაზეს კუთხეში მიუჩინეს ადგილსამყოფელი.

საათზე მეტი იქნებოდა გასულიო, მანქანიდან რომ გადმოვედით ტყიან ფერდობზე გაშენებული მამულის ეზოში, და უმალვე ქართველი ამხანაგების ალაყაში მოვექეცით.

— რა კარგია, რომ მოგვისწარით, — სიკეთით გამბადრულ სახეზე ღიმილი დასთამაშებს ჟურნალისტ ლადო ბახტრიონელს — მაშ, ერთად დავთვალიეროთ ყველაფერი, — გვეუბნება იგი და თან თავის ამხანაგებს გვაცნობს.

— რა მშვენიერებაა, — ვეუბნები ჩობანუს. — აი, სად, უნდა ცხოვრობდეს პოეტი!

ჩვენ ვათვალიერებთ მამულს, ეტაბებით ბუნების მშვენიერებით, შემდეგ კი შევდიეართ სახლში, რომელშიც „პუშკინის მუზეუმი" გაუხსნიათ.

სახლში რამდენიმე ოთახი და ორი ვრცელი დარბაზია. აქ თითქოს ყველაფერი შთაგონებისათვის, მუშაობისა და შემოქმედებისათვის არსებობს. ფართო ფანჯრასთან ვიჯრდებით და გავყურებთ შემოდგომის მოწმენდილ ცას, ხეობას, სადაც ვერცხლიფრად მიიკლაკნება მდინარე, ლურჯად დაბინდულ შორეულ ტყეს.

— ამბობენ, პუშკინს ამ ფანჯრასთან უყვარდაო დგომა და შორეთში ცქერა, — გვიამბობს მუზეუმის თანამშრომელი.

მუზეუმის დათვალიერების შემდეგ ეზოში გამოვდივართ. გიდი გვეუბნება: „ეს ხე პუშკინის დროინდელია", „აქ პუშკინი მუშაობდა", „მას, ამ ხეივანში უყვარდა სეირნობა".

და მართლაც, აქ ყოველივე პუშკინს გვახსენებს, რაზეც უნდა დავიწყოთ საუბარი, ვუბრუნდებით „ბოშების" ავტორს, მისი პოეზიისა და ცხოვრების სიღიადეს.

ბოცუსა და ჩობანუს დიდი ხანია ვიცნობ. ხშირად შევხვედრივარ სხვადასხვა თათბირზე, განსაუბრია, პურიც გაგვიტეხია ერთად მგზავრობისას. ლადო ბახტრიონელს კი აქამდე არ შევხვედრივარ, თუმცა საკვირველია, ასე მგონია, კარგა ხანია ვიცნობ და ძველი მეგობრები ვართ-მეთქი. ლადო უბრალო და გულღია ადამიანია, გაცნობისთანავე რომ ეხიბლავ. ეტყობა, ფართოდ ერუდირებული, გამოცდილი ჟურნალისტია. იცნობს აზერბაიჯანული კლასიკური თუ თანამედროვე ლიტერატურის ბევრ ოსტატს. მისი მსჯელობა დღევანდელ ცხოვრებაზე განცვიფრებთ სიზუსტითა და ღრმა ანალიზით.

— მაინც, რა ბუმბერაზია პუშკინი, — ამბობს ლადო, — მან ოღავსო ჩვენი გულები ახალი შეგობრების შეძენის სიხარულით.

ტყისაკენ ვეშვებით. ხეების შორის თეთრსალათიანი გოგონა გამოკრთა.

— ზემფირა! — იღიმება ბოცუ, — ვინ შეთხზავს ამ ზემფირაზე? ალბათ ჩობანუ, აი, ბლოკნოტი და კალამიც კი მოიმარჯვა!

ხეობაში მივდიეართ, ვსვამთ ყინულივით ცივ, ბროლივით გამჭირვალე მოლდაველურ წყაროს წყალს, ვგრილდებით...

აქვე ვეშვიდობებით ქართველ ამხანაგებს: დროა კიშინიოვში დავბრუნდეთ.

* « *

შეუპოვარი ბრძოლებისა და ტანჯვის ფასად მოიპოვა მოლდაველთმა ბედნიერი ცხოვრება. დიდი სამამულო ომის წლებში იგი ფაშისტებს ჰქონდათ დაპყრობილი, რომელთა სისასტიკეს და მხეცობას დღეს ტკივილითა და წყეულად ცრულვით იხსენებს მთელი რესპუბლიკა. მოლდაველთში არ არის სოფელი თუ დაბა, განვლილი ომის კვალი რომ არ ეტყობოდეს, საერთო საქმისათვის თავდადებული გმირი რომ არ აღეზარდოს. მოლდაველთში წმინდად ინახავენ ხსოვნას თავიანთი ქალ-ვაჟებისას, რომლებმაც სიცოცხლე არ დაიშურეს ფაშისტური ულმობელ ხელის განთავისუფლებისათვის. ახსოვთ და უფრთხილდებიან მოძმე ხალხთა შვილების ხსოვნას, სისხლი რომ დაღვარეს მოლდაველთის მიწაზე. ამ ხსოვნის გამოხატულებაა ათობით სოფელსა და ქალაქში აღმართული ობელისკები ვმირთა უკვდავსაყოფად.

მოლდაველი ხალხი შრომისმოყვარე, მამაცი, ვაჟკაცი ხალხია. მისი დღევანდელი ცხოვრება აღმშენებლობითი შრომით არის გაცისკროვნებული. სწორედ ხალხი, ამ მიწის დიდება და სინდისი აშენებს დღეს ახალ დასახლებებს, ბაღებს, ელექტროსადგურებს, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო კომპლექსებს, სკოლებსა და კულტურის სახლებს.

მოლდაველი ხალხი თავის მეგობრებს — პურ-მარილით, მეგობრულად ხვდება და ნაღდი, გულითადი სიყვარულით აცილებს.

მირზა იბრაგიმოვი.

ᲬᲐᲠᲬᲐᲜ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა საგანგებოდ განიხილა მართლწესრიგის დასაცავად და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად მიმდინარე მუშაობის გაუმჯობესების საკითხი და მიღებულ დადგენილებაში განსაზღვრა კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობს სამართალდარღვევათა პროფილაქიკის შემდგომ გაუმჯობესებას დანაშაულებრივი და სხვა ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას, ყველა მოქალაქის და თანამდებობის პირის მიერ საბჭოთა კანონების განუხრელად დაცვას.

ამ დიდმნიშვნელოვანი დადგენილებიდან გამომდინარე ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, ბევრი რამ კეთდება ჩვენს რესპუბლიკაში.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს ნაკლოვანებები არ გვქონდეს, სამართალდარღვევათა აღკვეთის საქმეში ყველგან ერთნაირი მონდომებითა და ენერგიით იბრძოდნენ.

ბოლო წლებში დანაშაული საგრძნობლად გაიზარდა „საქნავთობმომარაგებგაგასაღების" სისტემისა და რესპუბლიკის ზოგიერთ სატრანსპორტო ორგანიზაციაში. განსაკუთრებით დიდი დარღვევებია საწვავ-საპოხი მასალების შენახვა-ხარჯვის საქმეში.

როგორც შემოწმებამ გვიჩვენა, სახელმწიფო ქონების დატაცების მიზნით ბოროტგანმზრახველნი ბევრავლ ხერხს იყენებენ: ავტოგასაწყობი სადგურების ოპერატორები ხშირად ფულად ყიდიან საწვავ-საპოხ მასალებს (თუმცა დიდი ხანია შემოღებულია ტალონები); სხვადასხვა მარკის ბენზინს ურევენ ერთმანეთში და უხეშად არღვევენ ხარისხის სახელმწიფო სტანდარტებს; ფულად გაყიდული ბენზინის დანაკლისის შესავსებად სახელმწიფო ორგანიზაციებიდან ნახევარ ფასად ყიდულობენ ტალონებს; ავტოგასამართი სადგურებისა და ნავთობბაზის ბუღალტერიის მუშაკები დასაქონლებელი ტალონების განადგურების ფიქტიურ აქტებს ადგენენ, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს და „საქნავთობმომარაგებგასაღების" სამმართველოს მუშაკებმა შარშან ასეთი ხასიათის მრავალი დარღვევა და დანაშაული გამოავლინეს. შემოწმებული 87 ავტოგასაწყობი სადგურიდან 68-ში სხვადასხვა სახის დარღვევა იყო; საწვავ-საპოხი მასალების 37 საწყობიდან 27-ში დანაკლისი ან სიჭარბე აღმოჩნდა. შემოწმების მასალების მიხედვით რამდენიმე შემთხვევაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, 70 შემთხვევაში მასალები ზომების მისაღებად გადაეგზავნა შესაბამის ორგანიზაციებს დაქვემდებარების მიხედვით. როგორც ხედავთ, ზოგადი სურათი სახარბიელო არ არის. ახლა კონკრეტული ფაქტები.

თბილისის № 5 ავტოგასაწყობი სადგურის ოპერატორი თ. მარღანა შეუთანხმდა № 4 ავტოსაწარმოს მძღოლს რ. მამადაშვილს და სადგურში შეიტანა 450 ლიტრი მოპარული საწვავი. ამ ფაქტებიდან სამმა ოპერატორმა ტ. ჯობავამ და ნავთობბაზის მატერიალურ პასუხისმგებელ პირს ნ. დარსალიას.

ᲑᲝᲠᲝᲢᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲔ

ᲐᲜᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲡᲣᲚᲒᲣᲚᲝᲓ ᲔᲙᲣᲠᲝᲒᲑᲘᲐᲜ ᲕᲐᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲫᲣᲠᲓᲕᲐ-ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲕᲐᲡ ᲡᲐᲛᲗᲠᲔᲓᲘᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲘ

ᲑᲝᲠᲝᲢᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ინგირის რკინიგზის სადგურიდან ორი ვაგონი ხე-ტყე დაიტაცეს. ეს იყო 1977 წლის დეკემბერში. ირკუტსკის ოლქის ჩუნის რაიონიდან „საქკოლმშენის" ზუგდიდის რაიონის ხე-ტყის დამამზადებელი და გადასამუშავებელი საწარმოს სახელზე მიღებული ორი ვაგონი მორები ისე გაქრა, რომ სამმებრო სასახურის მუშაკებმა დღემდე გზა-ქვალს ვერ მიაკვლიეს.

ამის შესახებ ჯერ კიდევ 1978 წლის აგვისტოში გაზეთ „კომუნისტში" დაიბეჭდა წერილი — „დაუსჯელი დამტაცებლები". და მართლაც, 140 კუბურმეტრი მორი ნემსი ხომ არ იყო, ზვინში დაკარგულიყო. სამწუხაროდ, რკინიგზის სამტრედიის მილიციამ თავიდანვე ვერ გამოიჩინა ოპერატიულობა, იზოზინა და როცა სისხლის სამართლის საქმე ხუთ ტომად აკინძა, მაშინ „დაასკანა" — ჩვენს სამოქმედო ობიექტზე ქურდობა არ მომხდარაო და თავისი აწეწილ-დაწეწილი ძიების მასალები ზუგდიდის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებას გადაუგზავნა.

დღეს დღე ემატებოდა, თვეს — თვე, მაგრამ საქმეს არაფერი ეშველა. ამასობაში ბოროტმოქმედებმა შეძლეს დანაშაულის შენიღბვა. ვერც შინაგან საქმეთა ზუგდიდის რაიონული და საქალაქო განყოფილებების მუშაკების ძიებამ მოგვცა სასურველი შედეგი. საქმეში რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო სამმართველოს მუშაკები ჩაებნენ, რომლებმაც საკმაო ძიების შემდეგ ასეთი დადგენილება გამოიტანეს, —...„სისხლის სამართლის საქმეზე ყველა შესაძლო საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების მიუხედავად ორი ვაგონი ხის მორების გატაცების ჩამდენი პირები ვერ იქნა დადგენილი, საგამოძიები ვადა ამოიწურა... საქმე შეჩერდეს წარმოებით ბოროტმოქმედთა დადგენამდე".

ეს დადგენილება გამოტანილია შარშან—30 აპრილს. საქმე კი ამჟამადაც შინაგან საქმეთა ზუგდიდის რაიონულ განყოფილებაში უმოძრაოდ დევს.

ერთი წლის შემდეგ იმავე სადგურში ახალი დანაშაული მოხდა. ციკავშირის ზუგდიდის სავაჭრო ბაზის კუთვნილი ვაგონდან მამაკაცის 25 ცალი იმპორტული კოსტიუმი მოიპარეს, რომელთა ღირებულება 3.625 მანეთს შეადგენდა. ვაგონის გატეხისთანავე ცხელ ზებულ პროდუქციას, რომლისაგანაც ყოველწლიურად 35 მილიონ მანეთზე მეტი შემოსავალი აქვს.

1978 წლის 15 დეკემბერს ინგირის რკინიგზის სადგურიდან კომბინატმა საგრამო დატვირთვის წესით ტიუმენის ოლქის ქ. იშიმის პურის ქარხანას ერთი ვაგონი მუყაოს ყუთი გაუგზავნა და მისი ღირებულება — 4.809 მანეთი ბანკის მეშვეობით გაინაღდა. მაგრამ გამგზავნის დოკუმენტებში შეცდომით იქნა ჩაწერილი — პურკომბინატი, ნაცვლად პურის ქარხნისა, ხოლო სადგურ იშიმისა და თვით პურის ქარხნის რეკვიზიტები ზუსტად არის ნაჩვენები. მითითებული იყო ტვირთის მიმღები სადგურის კოდიც, მიუხედავად ამისა ვაგონი გზაში დაიკარგა.

ყურადსაღებია ისიც, რომ იშიმის პურის ქარხანაში მუყაოს ყუთების გაგზავნისთანავე ფოსტის საშუალებით გაიგზავნა ტვირთის ქვითარი, მაგრამ, როგორც ქარხნის დირექტორი ვ. იურინოვი იწერება, არც ტვირთი და არც ქვითარი არ მიუღიათ.

ცელულოზა-ქაღალდის კომბინატისა და პურის ქარხნის მიმოწერამ, ტვირთის ძებნამ რამოდენიმე თვეს გასტანა. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟმა იშიმის პურის ქარხნის პროტესტი სამართლიანად ცნო და კომბინატს დაკისრა ტვირთის ღირებულების — 4.809 მანეთის გადახდა.

იშიმელებთან მიმოწერით და დეპეშებით რომ ვერაფერს გახდა, კომბინატის დირექტორმა ო. ფაფაციამ საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურორის სახელზე საჩივარი გაგზავნა. იგი პროკურორს სთხოვდა საქმეში საკამეძიებო ორგანოების ჩარევასა და დანაშავეთა გამოვლინებას.

ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲓᲐᲜ

„ᲪᲣᲓᲘ ᲛᲔᲮᲡᲘᲔᲠᲔᲑᲐ" — ᲐᲚᲘᲒᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ

ᲒᲝᲠᲘᲡ რაიონის მეჯვრისხევის კოოპერატივის სოფელ სვენეთის მაღაზიაში სამ წელს პარპაშობდა ბოროტი დამტაცებელი თ. ბლიაძე. სავაჭრო საწარმოს დირექტორი რომ იყო, მან ფაქტობრივად ეერძო ფარდულად გაიხადა იგი, საეჭვო წყაროებიდან იძენდა საქონელს გასასაღებლად, საკუთარი ნებასურვილით აწესებდა ფასებს. როცა დანაშაულზე წაასწრეს,— ოცდაათი წლის თ. ბლიაძე ყოველნაირად ცდილობდა თავი დაეძვრინა, უარყოფდა დანაშაულს, „ცუდ მეხსიერებას" იმიზეზებდა: მავიწყდებოდა მაღაზიაში შემოსული საქონლის გაფორმება და ნავაჭრი ფულის შემოსავალში გატარებაო, მაგრამ, როგორც ძიებამ და სასამართლომ დაადგინეს, თ. ბლიაძეს ყოველთვის ახსოვდა საკუთარი გამორჩენა: სამი წლის მანძილზე 23 ათასზე მეტი მანეთი დაიტაცა, თუ კი რამ დაავიწყდა ანგარების ქინით შეპყრობილ თ. ბლიაძეს, მხოლოდ ის, რომ მის მაქინაციებს როცა იქნებოდა, ბოლო მოეღებოდა.

რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს გამსვლელმა სესიამ თ. ბლიაძეს მიუსაჯა თერმეტი წლის თავისუფლების აღკვეთა გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორებით კოლონიაში სასჯელის მოხდით. მსჯავრდადებულს ქონება კონფისკებულია, მას აეკრძალა სასჯელის მოხდის შემდეგ მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობებზე მუშაობა. სასამართლომ გამოიტანა აგრეთვე ერთი განჩინება ადგილობრივი სამომხმარებლო კოოპერაციის ხელმძღვანელობის მიმართ, რომელმაც სერიოზული შეცდომები დაუშვა კადრების შერჩევა-განაწილებაში. (საქინფორმი).

ᲑᲝᲠᲝᲢᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ

ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

ᲛᲝᲡᲐᲮᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲛᲝᲛᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

ᲛᲝᲡᲐᲮᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲛᲝᲛᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

ᲛᲝᲡᲐᲮᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲛᲝᲛᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

ᲛᲘᲗᲘᲗᲝᲕᲚᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐ

ᲛᲘᲗᲘᲗᲝᲕᲚᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐ

ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

ᲛᲝᲡᲐᲮᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲛᲝᲛᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

რევლიკა

საიდან?!.

...დაგვსაჯეთ, ოღონდ გაზეთში ნუ გამოგვაქვეყნებთ

ᲘᲢᲣᲕᲘᲐᲜ ხოლმე, ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული კაციაო — ხელგაშლილი, პურმარილიანი, დარდიმანდი. ასეთ ადამიანებს ცხოვრებაც ეხერხებათ, ჯიბეც ხელს უწყობთ, და აბა, რა გასაკვირია, საკუთარი ავტომანქანაც ჰქონდეთ და აგარაკიც. მთავარია ფულის პატრონს ვეძახდნენ, დარდიმანდობა კი თავისთავად მეგობრივით ამოგდგებათ გვერდში, კაცსაც დაგიძახებენ და ქუდიც გეხურებათ.

საკითხავი, აი, რა არის — რა გზით, ან როგორ აპირებთ ადვილად იშოვოთ ფული? იგი ხომ შრომის საფასურია, უფრო მეტად პატიოსანი კაცის ჯიბისკენ რომ მიიწევს, და რაც მთავარია, თავს დასტრიალებს ოჯახის ბიუჯეტს. მაგრამ ხომ არიან ადამიანები, რომლებსაც ეხერხებათ ქვიდან წვენის გამოდენა, ოილი გზით გამდიდრება, სხვის ჯიბეში ხელის ფათური... ისინი ადვილად შოულობენ ფულს და ადვილადაც ელვივნენ, ბატონკაცურად იქნევენ ხელებს და უანგარიშოდ ფანტავენ, მაგრამ, საბოლოოდ მარტო თვითონ კი არ ეფლობიან ჭაობში, სხვებსაც ითრევენ.

დარდიმანდი. რაოდენ ყურის-მომჭრელია დღეს ეს სახელი, და რარიგ გულსატკენია, რომ აქა-იქ მაინც ვხვდებით ასეთ ადამიანებს. თუ არა დარდიმანდად, აბა, სხვაგვარად, სამწუხაროდ, როგორ მოვნათლოთ პარტიის წევრების — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 45 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის უფროსის გივი კაჭახიძისა და თბილისის კამოს ხელოვნობის სახლმმსხმელო მექანიკური ქარხნის საამქროს უფროსის თენგიზ გვილავას საქციელი, რომლებმაც ავტოცენტრ „ვაზის" შემზეთავს რ. ორდინიანს ძრავაში ზეთის გამოცვლისათვის ზედმეტად 3 მანეთი და № 1 ავტოსამრეცხაოს „ნეპელის" მრეცხავს გ. ქოროლლიშვილს ავტომანქანის გარეცხვისათვის ქვითრის გარდა ხაჩუქრად 7 მანეთი მისცეს.

გ. კაჭახიძეს და თ. გვილავას გვინდა შევეკითხოთ: როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ისინი, ვინც მათ უკან იდგნენ რიგში და ასევე ზეთის გამოცვლასა და მანქანის გარეცხვას ელოდებოდნენ? მათაც ხომ არ უნდა გადაეხადათ შესაბამისად 3 და 7 მანეთი? არადა, რ. ორდინიანსა და გ. ქოროლლიშვილს ხომ თქვენვე დაუწესეთ ნიხრი?!

როდესაც აღნიშნულ და სხვა ხასიათის საკითხებს იხილავდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის საკოორდინაციო კომისიის მორიგ სხდომაზე, გ. კაჭახიძემ და თ. გვილავამ ითხოვეს—როგორც გინდათ დაგვსაჯეთ, ოღონდ გაზეთში ნუ გამოგვაქვეყნებთო.

ჩვენ ამ ამხანაგებს გვინდა ვუპასუხოთ: მართალია, მათი საქციელი სისხლის სამართლის დანაშაულს არ განეკუთვნება, მაგრამ რას ეტყვიან ისინი შესაბამის პარტიულ ორგანიზაციებს, სადაც ამ დღეებში მათ საკითხს განიხილავენ?

რაც შეეხება გაზეთში ამ მასალის გამოქვეყნებას, ის მიზანი აქვს, რომ სხვებმა არ გაიზიარონ მათი ხვედრი.

ვ. გაბაძე.

პარიზის კომუნის ძეგლი

18 მარტი სახელოვანი პარიზის კომუნის, მის თავდადებულ გმირთა ხსოვნის დღეა. მთელი პროგრესული კაცობრიობა მუდამ აღფრთოვანებით და პატივისცემით იგონებს ხალხის ბედნიერებისათვის შეუდრეკელ მებრძოლებს.

ამ წერილში მოგითხრობთ იმ სავანეზე, სადაც საუკუნო ძილით განისვენებენ ფრანგი ხალხის სახელოვანი შვილები.

1803 წელს ეს მიწის ნაკვეთი ქალაქის მმართველობამ იყიდა, რათა იქ სასაფლაო მოეწყო. ერთი წლის შემდეგ სასაფლაო გაიხსნა მოლიერისა და ლაფონტენის ნეშტის საზეიმო გადმოსვენებით. აქ დაკრძალული არიან ბომარშე, ბალზაკი, შოპენი, ა. დოდე, დელაკრუა, როსინი, ბიზე, ლავუაზიე, ოსკარ უაილდი, მარშლები ნეი, მიურატი და სხვები.

1871 წლის 28 მაისს დაეცა პარიზის კომუნის უკანასკნელი ბასტიონი — პერ-ლაშეზის სასაფლაო. მტრებისაგან იცავდნენ რა თავს, კომუნარებმა სროლით შეაფრეს თავი სასაფლაოს. 27 მაისს ვერსალელებმა შეანგრიეს კარები. დგებოდა კომუნის უკანასკნელი საათი. ცოცხლად დარჩენილები განაგრძობდნენ შეუპოვარ ბრძოლას კომუნის უკანასკნელი დროშის ქვეშ...

ამ ბრძოლაში ათასზე მეტი კომუნარი დაიღუპა, ხოლო მეორე დღეს, განთიადისას 147 დაღარჩენილი დახვრიტეს სასაფლაოს ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელთან. მას შემდეგ კედელს კომუნარების კედელი უწოდეს. ხალხმა იგი პარიზის კომუნის გმირთა ძეგლად აქცია.

ტერორის მსხვერპლი გახდა კომუნის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე ეჟენ ვარლენი. 28 მაისს იგი ეჟეზაში იცნო ფიდელმა და გასცა. გმირ კომუნარს ორი საათის განმავლობაში დაატარებდნენ ქუჩებში და სცემდნენ. როცა მას უკვე ფეზზე დგომა აღარ შეეძლო, დახვრიტეს. სიკვდილის წინ უკანასკნელი ძალა მოიკრიფა და წაიჩურჩულა: „გაუმარჯოს კომუნას!“

ეროვნებით პოლონელს, კომუნის გენერალს იაროსლავ დომბროვსკის ყველა იცნობდა. თავისი ბრწყინვალე ნიჭი, მთელი შეგნებული ცხოვრება მან კომუნას შესწირა. 24 მაისს პროცესია, რომელიც დომბროვსკის წითელ დროშაში გახვეულ ცხედარს ახლდა თან პერ-ლაშეზის სასაფლაოსკენ მიმავალ გზაზე, ბასტილიის მოედანზე შეჩერდა. აქ კომუნარები გამოეთხოვნენ თავის საყვარელ ხელმძღვანელს.

კომუნის დამცველ მამაც ქალებს შორის შეუდარებელი იყო ანა პუსტოვოიტოვა. იგი ეიტმორში დაბადა, დამთავრა ოქსფორდის უნივერსიტეტი. მამაკაცის ტანსაცმელში გამოწყობილი ქალი ანტონ პუსტოვოიტოვის სახელით იბრძოდა ჟუზეპე გარიბალდის არმიაში, სადაც სიმამაცით არაკის ტოლს არ უღებდა. ლეგენდარულმა გარიბალდიმ მას თავისი ხმალი ანუქა წარწერით: „შეუდრეკელობისათვის, საბრძოლო და რევოლუციური მამაცობისათვის“. კომუნის პერიოდში იგი ყველაზე სისხლისმღვრელ ბრძოლებში მონაწილეობდა და ქანაა დარკის მოდანზე აღმართა წითელი დროშა წარწერით: „გაუმარჯოს პროლეტარულ სოციალისტურ რევოლუციას და პარიზს კომუნას“!

ბრძოლის დროს მისი გასროლის შედეგად დაიჭრა ვერსალელთა შეტევის ხელმძღვანელი გენერალი. გაიმა საპასუხო სროლის ხმაც და... ასე დაამთავრა უკანასკნელი ბრძოლა რუსმა კომუნარმა ქალმა პარიზში. მისი სხეული გაახვიეს ბრიგადის წითელ დროშაში და დომბროვსკის გვერდით დაკრძალეს პერ-ლაშეზის სასაფლაოზე.

პარიზის კომუნის უკვდავი საქმისათვის იბრძოდნენ ელისაბედ დიმიტროვეა, პეტრე ლავროვი; პარიზის ლიტინურ უბანში მცხოვრები ქართველებიც მონაწილეობდნენ კომუნის საბარიკადო ბრძოლებში. დღეს ცნობილია მხოლოდ ორი: ბაგრატიონი და ფავლენიშვილი.

შესასვლელის ჩრდილო-აღმოსავლეთით აღმართულია რუხი ქვის კედელი. ზაფხულობით წალეს ხეებისა და აკაციების ხშირი ფოთლები თითქოს იცავენ ამ კუთხეს მზეს მცხუნვარე სხივებისაგან. კედლის წინ მწვანე ბალახის რბილი ხალიჩაა. არასოდეს არ ხუნდება მისი სიმწვანე. სასაფლაოს ამ კუთხეში ყოველთვის წითელი ყვავილების სამფოფა, როგორც კომუნართა წმინდა სისხლის სიმბოლო.

კედელზე კი ბევრი ნატყვიარი და ამომტვრეული ადგილია. ეს ვერ წაშალეს წლებმა, ვერ გადარეცხეს წვიმებმა. კედელზე წარწერაა: „კომუნის გმირებს!“. როგორც დაჭრილი გმირი, ამაყად დგას ეს დაბალი კედელი — კომუნარების დახვრეტის ბრმა მოწმე, ვაჟკაცობისა და გმირობის ძეგლი.

ვ. ი. ლენინი არაერთხელ ყოფილა კომუნარების კედელთან. პირველად მან ეს ადგილი 1895 წლის ივნისში მოინახულა. 1905 წელს ვლადიმერ ილიას ძე რსდმპარტიის III ყრილობის დელეგატების ჯგუფთან ერთად იყო კომუნარების დახვრეტის ადგილას. საფრანგეთში მყოფ ემიგრანტ ბოლშევიკებთან ერთად ლენინი მონაწილობას იღებდა პარიზას მშრომელთა მანიფესტაციაში პერ-ლაშეზის სასაფლაოზე. 1911 წლის ნოემბერში ვ. ი. ლენინი რსდმპარტიის სახელით გამოვიდა აქ და სიტყვა წარმოთქვა ფრანგულად პოლ და ლაურა ლაფარგების დასაფლავებაზე.

საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ კერძო საზოგადოებისაგან, რომელსაც სასაფლაო ეკუთვნის, შეისყიდა დიდი ადგილი. ზეინა ორიეუ მზარეს, რომელსაც კედლისაკენ მივყავართ, დასაფლავებული არიან კომუნარების ღირსეული შთამომავლები: მარსელ კაშენი, ანრი ბარბიუსი, მორის ტორეზი, პოლ ვაიან-კუტურიე, ეკა სადუელი, ჟან რიშარბლო�i, ეკა დიუკლო, 27 წლის პოლკოვნიკი ფაბენი — წინააღმდეგობის გმირი, რომელმაც პარიზში ჰიტლერელი ოფიცერი მოკლა. აქვეა მებრძოლი კომუნისტების საფლავები, რომლებიც რესპუბლიკური ესპანეთისათვის ბრძოლაში და საფრანგეთის წინააღმდეგობის ბრძოლებში დაიღუპნენ. ერთ-ერთ საფლავზე ასეთი წარწერაა: „ისინი დაიხოცნენ იმისათვის, რომ საფრანგეთს ეცოცხლა“.

ყოველ წელს, მაისის უკანასკნელ კვირა დღეს, სასაფლაოზე ეწყობა ხალხის სვლა კომუნარების კედლისაკენ. გამოაქვთ ფრანგი კომუნისტების მიერ სათუთად შენახული კომუნის საბრძოლო წითელი დროშა. აქ ეს დროშა უნდა ჩაატაროს საფრანგეთის კომპარტიის ყველაზე საპატიო წევრმა. პირველნი, ვინც კომუნარების კედლისკენ მიდიან, არიან ქვეყნის ყველაზე ახალგაზრდა მოქალაქენი — ბავშვები და ახალგაზრდები.

ვ. ი. ლენინი სტატიაში „კომუნის ხსოვნას“ წერდა: „...კომუნის საქმე არ მომკვდარა, იგი დღემდე ცოცხლობს თითოეულ ჩვენთაგანში.

კომუნის საქმე — ეს სოციალური რევოლუციის საქმეა, მშრომელთა სრული პოლიტიკური და ეკონომიკური განთავისუფლების საქმეა, ეს მთელი მსოფლიო პროლეტარიატის საქმეა. და ამ აზრით იგი უკვდავია“.

როგორც ყოველთვის, დღესაც დიდებულად გაისმის დიდი ლენინის ეს სიტყვები!

შ. მახარაძე,
ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორი.

პარიზი-თბილისი.

მეცნიერი, პედაგოგი, მოღვაწე



დ. ლორთქიფანიძის დაბადების 75-ე წლისთავის გამო

სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის კათედრის გამგეს, პრაღისა და ბრატისლავის უნივერსიტეტების საპატიო დოქტორს დავით ონისიმეს ძე ლორთქიფანიძეს დაბადების 75 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 55 წელი შეუსრულდა.

დ. ლორთქიფანიძემ სახელოვანი გზა განვლო თოხლიაურის დაწყებითი სკოლის მასწავლებლიდან აღიარებულ მეცნიერ-პედაგოგამდე. იგი დაიბადა 1905 წლის 18 მარტს ვანის რაიონის სოფელ სალხინოში. 1912 წელს მშობლებმა მიაბარეს ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში. 1917 წლიდან სწავლა განაგრძო თბილისის ქართულ გიმნაზიაში, ხოლო მისი დამთავრების შემდეგ — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტში სწავლასთან ერთად და მისი დამთავრების შემდეგაც იგი ეწეოდა პედაგოგიურ მუშაობას, სწავლობს ასპირანტურაში პედაგოგიკის სპეციალობით, აქტიურად თანამშრომლობს ჟურნალ-გაზეთებში.

1937 წელს დ. ლორთქიფანიძემ ქ. მოსკოვში წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე „ი. ა. კომენსკის დიდაქტიკა“ და მოიპოვა პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1939 წლის დამდეგიდან დ. ლორთქიფანიძე ინიშნება პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში. 1944 წლის დამდეგს იგი ჩაირიცხა ახალდაარსებულ რსფსრ რესპუბლიკის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის პირველი ძიერების დოქტორანტურაში. დოქტორანტურის კურსდამთავრებულთაგან და საერთოდ აღნიშნული აკადემიის სისტემაში მან პირველმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე — „კ. დ. უშინსკის პედაგოგიკური მოძღვრება და მისი მნიშვნელობა ქართული პედაგოგიკური აზროვნების განვითარებაში“.

დ. ლორთქიფანიძის ეს ფუნდამენტური მონოგრაფია გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ, მოლდავურ, ჩეხურ და უნგრულ ენებზე რსფსრ პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის გრიფით, აკადემიკოს ე. ნ. მედინსკის წინასიტყვაობითა და რედაქტორობით.

1947 წლის დასაწყისში დ. ლორთქიფანიძე ბრუნდება საქართველოში და ინიშნება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად. ამ თანამდებობაზე მან იმუშავა 1960 წლამდე.

ამ პერიოდში მომზადდა და გამოქვეყნდა დიდი ქართველი პედაგოგის ი. გოგებაშვილის თხზულებათა ათტომეული, პირველად ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა პედაგოგიკის კლასიკოსების ძირითადი თხზულებანი: იან ამოს კომენსკის ორტომეული და მისი „დიდაქტიკა“, უშინსკის, ჟან-ჟაკ რუსოს, პიროგოვის, მედინსკის, ჩერნიშევსკის, კრუპსკაიას, მაკარენკოს თხზულებები და სხვა. გამოიცა მრავალი მონოგრაფია, რომელთაგან ბევრი ითარგმნა და გამოქვეყნდა მოსკოვში და აგრეთვე მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში. ინსტიტუტმა დიდი მუშაობა გასწია კადრების მომზადების დარგში. მან ჯერ კიდევ 1948 წელს ერთ-ერთმა პირველმა საბჭოთა კავშირში მოიპოვა სამეცნიერო ხარისხების მინიჭების უფლება პედაგოგიკასა და თითქმის ყველა ძირითადი სასწავლო დისციპლინის მეთოდიკებში.

1963 წლიდან დ. ლორთქიფანიძე სამუშაოდ გადადის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხელმძღვანელობს პედაგოგიკის კათედრას, რომელიც დიდ მუშაობას ეწევა სამეცნიერო კადრების აღზრდის დარგში.

დ. ლორთქიფანიძე 120-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორია, მათ შორის 30-მდე ცალკე გამოცემისა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ისეთი ფუნდამენტური შრომები, როგორიც არის „იან ამოს კომენსკის დიდაქტიკა“, „სწავლების პრინციპები, ორგანიზაცია და მეთოდები“, „დიდი ქართველი პედაგოგი-კლასიკოსი იაკობ გოგებაშვილი“, „კ. დ. უშინსკის პედაგოგიკური მოძღვრება“ და სხვ. ამ ნაშრომებს მაღალი შეფასება მისცეს, ხოლო მონოგრაფია „იან ამოს კომენსკი“ ჩეხი მეცნიერების მიერ აღიარებულია როგორც საუკეთესო გამოკვლევა არსებულ კომენოლოგიურ ლიტერატურაში ჩეხურ, ფრანგულ, გერმანულ, პოლონურ, რუსულ ენებზე. ეს აზრი გატარებულია აგრეთვე ამ წიგნის ჩეხური გამოცემის რედაქტორის წინასიტყვაობაში, გაზეთ „რუდე-პრავოში“ დაბეჭდილ სპეციალურ სტატიაში.

დ. ლორთქიფანიძის „ი. ა. კომენსკი“ სსრკ პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მიერ აღინიშნა უშინსკის სახელობის პირველი პრემიით; ამავე შრომას ქართულ ენაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი პრემია მიენიჭა, ხოლო შრომამ — „კ. დ. უშინსკის პედაგოგიკური მოძღვრება“ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემია დაიმსახურა. 1957 წელს დ. ლორთქიფანიძეს მიენიჭა კომენსკის მედალი, ხოლო 1960 წელს — „კ. დ. უშინსკის მედალი შრომისათვის“ — „კ. დ. უშინსკის პედაგოგიკური მოძღვრება“.

დ. ლორთქიფანიძის მეცნიერულ-კვლევითს საქმიანობაში დიდი ადგილი უჭირავს საქართველოში პედაგოგიკის მეცნიერების ფუძემდებლის, დიდი ქართველი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის მდიდარი პედაგოგიური მემკვიდრეობის შესწავლასა და პირადად აქტიურ მონაწილეობას მისი სახელის უკვდავყოფის ღონისძიებებში. 1940 წელს გამოქვეყნდა მისი წიგნი „იაკობ გოგებაშვილის დიდაქტიკა“. ეს იყო პირველი მონოგრაფია იაკობ გოგებაშვილის შესახებ საბჭოთა პერიოდში. დ. ლორთქიფანიძე ავტორია 20-ზე მეტი ნაშრომისა ი. გოგებაშვილის ცხოვრების, მოღვაწეობისა და პედაგოგიკური მოძღვრების საკითხებზე. ზოგი მათგანი გამოქვეყნებულია რუსულ, აზერბაიჯანულ, მოლდავურ, ჩეხურ, უნგრულ და სხვა ენებზე. დ. ლორთქიფანიძის ინიციატივით, უშუალო ხელმძღვანელობითა და რედაქტორობით, პროფესორ გ. თავზაშვილთან თანამშრომლობით გამოიცა ი. გოგებაშვილის თხზულებათა 10-ტომეული. დ. ლორთქიფანიძეს პირველს მიენიჭა ი. გოგებაშვილის მედალი.

სამართლიანად არის აღიარებული დ. ლორთქიფანიძე ერთ-ერთ წამყვან საბჭოთა დიდაქტიკოსად. აღსანიშნავია, რომ დ. ლორთქიფანიძის ცნობილი დიდაქტიკური ნაშრომი „სწავლების პრინციპები, ორგანიზაცია და მეთოდები“ ითარგმნა და გამოიცა რუსულ ენაზე მოსკოვში, აგრეთვე ჩეხურ ენაზე კომენსკის სამშობლოში.

ასევე დიდია დ. ლორთქიფანიძის ღვაწლი სამეცნიერო კადრების მომზადებაში. ამჟამად რესპუბლიკაში პედაგოგიკის დარგის 20-მდე დოქტორი და 100-მდე კანდიდატია. ძნელია დავასახელოთ მათ შორის ისეთი, რომლის მეცნიერულ ზრდაშიც გარკვეული წვლილი არ შეეტანოს დ. ლორთქიფანიძეს.

დ. ლორთქიფანიძე აქტიური საზოგადო მოღვაწეა. დღიდან დაარსებისა იგი არის საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების პრეზიდენტი, საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების საკავშირო გამგეობის წევრი და ამ საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, ამასთანავე დ. ლორთქიფანიძე არის ამ საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე; მრავალი წლის მანძილზე დ. ლორთქიფანიძე საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის წევრია, იგი საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის წევრია დაარსების დღიდანვე, არჩეულია მრავალ სამეცნიერო საბჭოში, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრია.

პარტიამ და მთავრობამ დიდად დააფასეს დ. ლორთქიფანიძის ღვაწლი. იგი დაჯილდოებულია: შრომის წითელი დროშის, ხალხთა მეგობრობისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენებითა და მრავალი მედლით.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დ. ლორთქიფანიძე დააჯილდოვა სამკერდე ნიშნით „ჩპკ-ს 50 წელი“, ხოლო ჩეხოსლოვაკიის საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოებამ — „პირველი ხარისხის ოქროს მედლით“.

სასიქადულო მამულიშვილმა, მეგობარმა და მასწავლებელმა, უაღრესად გულისხმიერმა და თავმდაბალმა, ადამიანებისადმი გულწრფელი სიყვარულით გამოსჭვალულმა მეცნიერმა, ცხოვრების დიდებული გზა განვლო და დღესაც შემართებითა და ენერგიით არის აღსავსე. დღეგრძელობა მას!

ნათელა ვასაძე,
პროფესორი.

„ვეფხისტყაოსანი“ აფხაზურ ენაზე

სოხუმი. (საქინფორმის კორ.). აქ გაიმართა მკითხველთა კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა მუშნი ლასურიას მიერ აფხაზურ ენაზე თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ გამოსვლას.

— პოემის პირველი აფხაზური თარგმანი განახორციელა აფხაზეთის სახალხო პოეტმა დ. გულიამ.

ახლანდელი თარგმანი, რომელიც მ. ლასურიას ეკუთვნის, მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ამ გზაზე. ეს აზრი იყო ჩაქსოვილი საქართველოს კომპარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნის, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ზ. ხ. ავიძბას შეხვედრებზე, ფაფაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსეთისა და საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგის, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ბ. გურგულიას მოხსენებაშიც „უკვდავი ქართული პოემა აფხაზი ხალხის სულიერ ცხოვრებაში“ და სხვათა გამოსვლებში.

ექსპოზიცია, რომელიც მოგვითხრობს შოთა რუსთაველის პოემის აფხაზურ ენაზე სხვადასხვა დროის გამოცემების შესახებ, მკითხველებს გააცნო რესპუბლიკური სახალხო ბიბლიოთეკის უფროსმა ბიბლიოთეკარმა ლ. ნაჭყებიამ.

აფხაზური თარგმანის რედაქტორმა, აფხაზეთის სახალხო პოეტმა ბ. შინკუბამ ხაზი გაუსვა იმ დიდ წვლილს, რომელიც შეიტანა მ. ლასურიამ აფხაზურ ენაზე რუსული და ქართული ლიტერატურის შესანიშნავი ნაწარმოებების თარგმნის საქმეში, კერძოდ, ილიების, როგორიცაა ა. ხ. პუშკინის „ევგენი ონეგინი“, ი. აბაშიძის „პალესტინა, პალესტინა...“ ბ. შინკუბამ აღნიშნა ახალი თარგმანის მაღალმხატვრული დონე.

დასასრულს სიტყვით გამოვიდა მ. ლასურია. მან მადლობა გადაუხადა დამსწრეთ მისი მუშაობის მაღალი შეფასებისათვის, უპასუხა მკითხველთა შეკითხვებზე, წაიკითხა ნაწყვეტები რუსთაველის პოემიდან.

8.500 მცხოვრებისათვის არის განსაზღვრული ბაგების მიკრორაიონის განაშენიანების ტექნიკური პროექტი, რომელიც შეიქმნა თბილისის საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების ტიპობრივი და ექსპერიმენტული დაპროექტების ზონალურ სამეცნიერო-კვლევითს და საპროექტო ინსტიტუტში.

სურათებზე: არქიტექტორთა ჩანაფიქრით ასეთი გახდება დედაქალაქის ახალი მიკრორაიონი ბაგები; კონსტრუქციის განყოფილების უფროსი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ნოდარ ედიშერაშვილი, უფროსი მეცნიერი მუშაკი ლედი წულაძე, ინჟინერი თენგიზ ყავლაშვილი და უფროსი არქიტექტორი ნაზიბროლა კოშაძე აზუსტებენ ბაგების მიკრორაიონის პროექტის დეტალებს.

შ. კრიმსკის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲣᲐᲒᲐᲮᲘ

პრეტენდენტთა მატჩებზე

თბილისში

მეშვიდე პარტია უკიდურესი სიმძაფრით გამოირჩეოდა. ბრძოლის ნაადრევი გამწვავება საერთოდ დამახასიათებელია უფიმაკეის დაცვისათვის, რომელიც ახალგაზრდა პრეტენდენტმა აირჩია. ეს დაცვითი სისტემა, რომელიც 40-იან წლებში ცნობილმა სამბოთა ოსტატმა უფიმცევმა დაამუშავა, უკვე კარგა ხანია ჩინებულ სამსახურს უწევს გურიელს.

გაფრინდაშვილმა დასაწყისი თეორიის უკანასკნელი რეკომენდაციის მიხედვით გაითამაშა. მისი მე-15 სვლის შემდეგ „ხელჩართული ბრძოლა“ დაიწყო. მსოფლიოს ექსჩემპიონის პაიკი ჯერ მეექვსე ჰორიზონტალზე აღმოჩნდა, შემდეგ მეშვიდეზე, გურიელს თან მისთვის უნდა ედევნებინა თვალი, თანაც თეთრ მეფეზე (იგი საკმარისად დაცული არ აღმოჩნდა) მიეტანა შეტევა. მას შემდეგ, რაც გაფრინდაშვილი შეიცდა, შავებმა ორივე ამოცანა წარმატებით გადაწყვეტეს. ასეთ ღია პოზიციებში გურიელი განსაკუთრებით კარგად თამაშობს. მან მოიგო მხედარი და კუ იტლში, ამასთან ძლიერი მუქარებიც შექმნა. თეთრებმა დაკარგეს თავიანთი გამსვლელი პაიკიც. გაფრინდაშვილის ლაზიერი თამაშიდან გათიშული აღმოჩნდა და ვერ მონაწილეობდა საკუთარი მეფის დაცვაში, რომლის წინააღმდეგ შავებმა ჭარბ ძალებს (ლაზიერს, კუს, ორ მხედარს) მოუყარეს თავი. ასეთ პირობებში შეტევა თავისთავად ვითარდებოდა. გაფრინდაშვილი შეერს ფიქრობდა და სასტიკ ქაიტნოტში აღმოჩნდა.

უკვე მეტად მძიმე პოზიციაში, 32-ე სვლაზე მსოფლიოს ექსჩემპიონმა მოფიქრებისათვის გაანუთვნილ დროს გადააცილა და წაგება ჩაეთვალა. ამრიგად, ანგარიში გახდა 4:3 გაფრინდაშვილის სასარგებლოდ. სიტუაცია მატჩში კვლავ დაიძაბა.

გაფრინდაშვილი — გურიელი
მეშვიდე პარტია



ამ პოზიციაში თამაში უკიდურესად მწვავედ წარიმართა: 16. ed e:e1 17. ლ:e1 მ:f4 18. dc ლg5 19. კ:c6 bc 20. მa7 კd4 21. მფh2 ლf5 22. g4 ლd7 23. c5ლ e:c8 24. მ:c8 ლ:c8 25. e:d1 მce6 26. მe4 ლb8 27. ლ:a5 მd5+ 28. მfg2 ლe5 29. ლa8+ მfg7 30. მg3 მ6f4+ 31. მff1 კ:f2 თეთრებმა დროს გადააცილეს.

კისლოვოდსკში

ზვიდი პარტიის შემდეგ ნანა ალექსანდრია უკვე ორი ქულით არის წინ და მატჩის მოგების ჩინებული შესაძლებლობაც აქვს. როგორც მოსალოდნელი იყო, გადადების პარტიების დამთავრებისას მან 3 შესაძლებლიდან 2,5 ქულა მოაგროვა, მეხუთე და მეექვსე შეხვედრებში გაიმარჯვა, ხოლო მეშვიდე — ყაიმით დაამთავრა. ანგარიში გახდა 4,5:2,5 ალექსანდრიას სასარგებლოდ. ახლა ალექსანდრიას მატჩის მოსაგებად ერთი ქულაღა სჭირდება. მორიგ, მერვე პარტიაში თეთრებით თამაშობს ახმილოვსკაია.

უკანასკნელ საათს!

თბილისში გუშინ გაფრინდაშვილ-გურიელის მატჩზე მერვე პარტია არ გამართულა. გურიელმა ტაიმ-აუტი აიღო. ეს შეხვედრა ხვალ გაიმართება.

კისლოვოდსკში გათამაშდა ალექსანდრიაუხმილოვსკაიას მატჩის მერვე პარტია. იგი გადაიდო დაახლოებით თანაბარ პოზიციაში.

ბაკ-ლაუტერბერგში პიუბნერი (აფრ) და ადორიანი (უნგრეთი) პირველ პარტიაში ყაიმზე შეთანხმდნენ.

ფელდენში

ავსტრიის ამ ქალაქში გრძელდება პეტროსიან-კორჩნოის მატჩი. მეოთხე პარტია, ხოლო შემდეგ მეხუთეც დაფმიავრებული დარჩა. ანგარიში კვლავ თანაბარია — 1,5:1,5.

მეხიკო-სიტიში

როგორც გამოცხადდა, 29 მარტს მექსიკის დიდაქალაქში იწყება მატჩი მსოფლიოს ექს-ჩემპიონ სპასკისა და პორტიშს (უნგრეთი) შორის. ბუდაპეშტის გაზეთ „ნეპშპორტის“ ცნობით, პორტიშის სეკუნდანტი იქნება დიდოსტატი ფორინტოში.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ

თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი კლასიკური ჭიდაობაში ი. პოდდუბნის პრიზებზე. შაბათს ხუთ წონითს კატეგორიაში გამოვლინდნენ პრიზიორები. ეს ამბავი მკითხველმა უკვე იცის. ახლა გავიგოთ იმ პრიზიორებისაც, რომლებმაც წარმატება კვირას გამართული ორთაბრძოლების შემდეგ მოიპოვეს.

52 კგ. 1. კ. ფატკულინი (სსრკ), 2. ლ. ცეკოვი (ბულგარეთი), 3. მ. სოლო (კუბა).

62 კგ. 1. კ. ლიპენი (პოლონეთი), 2. ფ. შუსტაფინი (სსრკ), 3. მ. ტელიოსი (საბერძნეთი).

74 კგ. 1. ა. ნიფტულაევი (სსრკ), 2. გ. ჩებოტარუ (რუმინეთი), 3. ბ. ცვეინი (იუგოსლავია).

90 კგ. 1. ა. დუბროვსკი (სსრკ), 2. ბ. დეარასი (საბერძნეთი), 3. ბ. დიკუ (რუმინეთი).

მძიმე წონა. 1. ა. მაისურაძე (საქართველო), 2. ი. როვნანი (უნგრეთი), 3. ბ. ტომანეკი (პოლონეთი).

შვიდი მატჩი

გაიმართა ფეხბურთში სსრ კავშირის თასის გათამაშების შვიდი მერვეფინალური მატჩი. თბილისის „დინამომ“ სომეფროპოლში დაამარცხა ადგილობრივი „ტავრია“ ანგარიშით 4:0 და მეოთხეფინალში გავიდა. ამ შეხვედრაში გოლები გაიტანეს ჩილეგაძემ (11-მეტრიანი ნაჯარიმოდან), ლომპალიშვილმა, ქორიძემ და გუცაევმა.

დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: კიევის „დინამო“-ალმა-ათის „აყიროათი“ — 2:0, დონეცკის „შახტიორი“-დონის როსტოვის ასკ — 2:1, ტაშკენტის „ფახთაკორი“-ბაკოს „ნეფტჩი“— 2:1, ერევნის „არარატი“-კიშინიოვის „ნისტრუ“ — 3:2, მოსკოვის „დინამო“-მინსკის „დინამო“ — 2:0. 20 მარტს გაიმართება ბოლო მერვეფინალური მატჩი. ერთმანეთს შეხვდებიან მოსკოვის „ტორპედო“ და ვორონეჟის „ფაკელი“. მეოთხეფინალური შეხვედრები გაიმართება 30 მარტს.

მოკლედ

ფუალხმა. მინსკში დამთავრებულ საერთაშორისო ასპარეზობაში პირველი ადგილები დაიკავეს საბჭოთა სპორტსმენებმა: ერევნელებმა დავით ამბარცუმიანმა და 13 წლის გოგონამ სირვარდ ემირზიანმა (ორივემ — ეროკიდან ხტომაში). მინსელებმა ალექსანდრე პორტნოვმა და ირინე სიდოროვამ (ორივემ — ტრამპლინიდან ხტომაში).

რედაქტორი
გ. გედინეიშვილი

გიწვევთ კონკურსზე



პ. მელიქიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად

პეტრე მელიქიშვილის სახელობის პრემია 2500 მანეთის ოდენობით დაწესებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის დადგენილებით და მისი მინიჭება მოხდება სამ წელიწადში ერთხელ ქიმიისა და ფიზიკის დარგში თვალსაჩინო თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის საუკეთესო მეცნიერული ნაშრომისათვის.

პრემია მიენიჭება პ. მელიქიშვილის დაბადების დღეს — 11 ივლისს.

პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ცალკეული ავტორთა ნაშრომები, კოლექტიური ნაშრომებში პრემია მიეკუთვნათ ხელმძღვანელებს და ძირითად ავტორებს.

სხვადასხვა ნაშრომისათვის ორ ან მეტ მაძიებელს შორის პრემიის გაყოფა არ შეიძლება.

პრემიის მოსასპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს საქართველოს სამეცნიერო-კვლევითს, უმაღლეს სასწავლებლებში ან სხვა დაწესებულებაში, ან ცალკეულ პირთა მიერ, საქართველოს სსრ სამეცნიერო დაწესებულებათა მიერ პრემიის მოსასპოვებლად შეიძლება გამონაკლისის სახით წარმოდგენილ იქნეს რესპუბლიკის გარეთ შესრულებული ნაშრომი.

პრემიის მოსასპოვებლად შეიძლება წარმოადგინონ წინა სამი წლის განმავლობაში გამოცემული შრომები, მაგრამ გამოცემული არა უგვიანეს ექვსი თვისა განცხადების გამოქვეყნებამდე.

ნაშრომები, რომელთაც მიენიჭათ ლენინური პრემია, სახელმწიფო პრემია, აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებისა და დარგობრივი აკადემიების სახელობით პრემიები, პ. მელიქიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად არ მიიღება.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

ი. თარხნიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია აცხადებს კონკურსს ივანე თარხნიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად.

ეს პრემია 2.500 მანეთის ოდენობით მიენიჭება სამ წელიწადში ერთხელ თვალსაჩინო მეცნიერული ნაშრომისათვის ბიოლოგიისა და მედიცინის მეცნიერებათა დარგში.

პრემიის მოსასპოვებლად, ჩვეულებრივ, შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ცალკეული ავტორთა შრომები. კოლექტიური ნაშრომებისათვის პრემია მიეკუთვნათ ხელმძღვანელებს და ძირითად ავტორებს.

პრემიის მოსასპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს საქართველოს სსრ სამეცნიერო-საკვლევო, სამეცნიერო-პედაგოგიურ ან სხვა დაწესებულებაში ან ცალკეული პირთა მიერ. საქართველოს სსრ სამეცნ